



ქართველთა
წიგნების კავშირი

პიონერები რიბი ზეიბი

20 მაისს, დილის 10 საათზე, კრემლის კურანტების ხმამ ყველას ამცნო საკავშირო პიონერული რადიოხაზის დაწყება. საზეიმო ხაზი პიონერთა ორგანიზაციისათვის ვ. ი. ლენინის სახელის მინიჭების 40 წლისთავს მიეძღვნა.

რადიოხაზზე პატაკის საპატიო უფლება მიეცათ უკრაინის პატარა სოფლის დობრომილის ნორჩ ლენინელებს. ლგოვის ოლქის ამ სოფლიდან, გასული წლის 2 ოქტომბერს, სტარტი აიღო მსოფლიოში პირველი კოსმონავტი ქალის, ვალენტინა ტერეშკოვას ალამმა. და აი, ამ ალამმა მოგზაურობა დაამთავრა წითელ მოედანზე, სადაც გაიმართა პიონერთა ორგანიზაციისათვის ვ. ი. ლენინის სახელის მინიჭების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი პარადი...

რადიოხაზზე სიტყვა თქვა მფრინავმა-კოსმონავტმა პავლე პოპოვიჩმა: ამ პიონერულმა ალამმა შემოიარა მთელი საბჭოთა ქვეყანა, სტუმრად იყო ყველა მოძმე რესპუბლიკის პიონერებთან. ესტაფეტის წიგნში, რომელმაც იმოგზაურა ალამთან ერთად, ბავშვებმა ჩაწერეს თავიანთი პიონერული საქმეები. როცა მომავალ თაობათა პიონერები პიონერული დიდების მუზეუმში ნახავენ კოსმოსურ ალამს და ესტაფეტის წიგნში ამოიკითხავენ, თუ როგორ სწავლობდით, მეგობრობდით და ეხმარებოდით უფროსებს თქვენ, დღევანდელი პიონერები, აუცილებლად იტყვიან თქვენზე: ყოჩაღ!

საკავშირო რადიოხაზზე ლენინგრადელმა პიონერებმა წამოაყენეს წინადადება—დაიწყოს საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი პიონერთა საქმეების ესტაფეტა.

პიონერულ ხაზზე

ფოტო
დავით იაკობაშვილისა



ქართული ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

კამეზი

საბავშვო ჟურნალი
ს. ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბავშვო განყოფილება

7 • 0 3 5 0 5 0 • 6 4

საბავშვო კვლევის ცენტრი

ყოველთვის მიხაროდა გაზაფხულის მოსვლა, მაგრამ წლებადღევით არასოდეს გამზარებია. იმიტომ, რომ პაპაჩემი მთელი ზამთარ სულ იმას მეუბნებოდა, — სამაისოდ შენი არაბულა სამი წლისა ხდება, დროა ზურგზე მოახტე, გახედნო და საშვიდნოემბროდ იქნებ ჭირითშიც მიიღო მონაწილეობაო.

ოჯახში სამნი ვართ: მე, დედა და პაპა. მამა არ მახსოვს, — ორი წლისას მომკვდომია. პაპა მეჩინიბეა. ხშირად თავლაში მივდივარ ხოლმე პაპასთან და ცხენების მოვლაში ვეზმარები.

შარშანწინისწინა გაზაფხულს თავლაში რომ მივედი, ეზოში ყორანით შავი კვიცი დაკუნტრუშობდა. წვრილი ფეხები, თითქოს მაწონში ჩაუყვიაო, მუხლებს ქვევით თეთრი ჰქონდა. მოუსვენრად ცმუყავდა. ეზოს ხირბილით გარს უვლიდა.

არაბულა დავარქვი. რომ მივუახლოვდებოდი, ქურციკვით განზე გახტებოდა და გაოცებული თვალებით მიცქეროდა. სამი თვისას ბოვირში ფეხი ჩაუვარდა და

წინა ფლოქვი წაიძრო. როცა ცხენებს საძოვარზე ან წყლის დასალევივინებლად გარეკავდნენ, თავლაში მარტო ფლოქვამძებრალი არაბულა რჩებოდა და დასევდიანებული, დიდი შავი თვალებით კარისაყენ იხედებოდა.

არაბულას ცოდვიო ვიწვოდი. წყალს ვალევივინებდი, ღობის ძირებში ბალახს ვუგლეჯდი და ხანდახან შაქრის ნატეხითაც ვუტკბარუნებდი პარს. ფეხის ხმაზე მცნობდა. დამინახავდა თუ არა, ატოვდებოდა; აფრუტუნდებოდა და შემომჭიხვინებდა.

მთელი წლის მკურნალობის შემდეგ არაბულას ახალი ფლოქვი წამოეზარდა, მაგრამ კარგა ხანს კიდევ კოჭლობდა. საძოვარებზე და წყლის დასალევივინებლად მე დამყავდა.

არაბულა ერთბაშად წამოიზარდა: ტანი აიყარა, მოლონიერდა, ქენები-სას ხშირ ფაფარს. მოლერილ კისერზე გადაიყრიდა და ისარივით მიჰქროდა.

პაპას დახმარებით კვიცი მალე გავხედნეთ და ისიც ჩემს მეტს არავის არ იკარებდა.

ამას წინათ ბიჭებს ცხენები სარწ-

ყულებლად მიგყავდა, პაპაჩემმა არაბულას პირში ლავაი ამოსდო და მითხრა:

— აბა, ერთი შენს რაშს მოახტი, ყყოფა, რაც თავისუფლად ინავარდა.

სოფლის ორღობეში ბიჭებმა ცხენები გავაჯიბრეთ. არაბულა სამი წლისაც არ იყო და მეგონა, ცხენებს ვერ მიჰყვებოდა, ამიტომ შეგვიანებით მივეუშვი აღვირი, ვიფიქრე — სხვებს უკან მივყავები-მეთქი. თავისუფლება რომ იგრძნო, კვიცი ისარივით მოწყდა ადგილს და წინ წასული ცხენები უკან ჩამოიტოვა.

ჩემს წინ ფერმის გამგის ბიჭი, ზაქარა-ლა მიაქროლებდა ლურჯას და ყვიროდა, აბა, რომელი ხართ კარგი ბიჭი, მომყევითო.

— მიდი, არაბულა, მიდი, შენი ჭირიმე! — ყურში ჩავჩურჩულე კვიცს; ისიც თითქოს მიხვდაო ჩემს ვედრებას: კისერი წაიგრძელა, ნესტოები უფრო დაებერა და რამდენიმე ნახტომით ლურჯასაც წამოეწია.


ზაქარა ხმამალა უკიოდა ულაყს, მათრახს გამეტებით სცემდა, მაგრამ ამოდ, — არაბულამ ლურჯაც უკან მოიტოვა.

— ბარაქალა, არაბულა! ეს რა სირბილი გცოდნია! შენც ყოჩაღ, კობა, რომ ასე მარჯვედ მიაქროლებდი კვიცს! — მეუბნებოდნენ ბიჭები, როცა ცხენებს თავლაში ვაბამდით.

როცა შინ ვბრუნდებოდით, შუბლშეკრული ზაქარა ბიჭებისაგან განცალკევებით მიაბიჯებდა. ბიჭები ისევ ჩვენი ქებით ილიდნენ ყბებს და ზაქარას აგონებდნენ: ლურჯაც რა უცებ ჩამოიტოვა უკან შენმა არაბულამ, ზაქარაც დიდი არაფერი მხედარი ყოფილაო.

პენო პრეპერაველი

ნ.ბ. დიმიტრი მისთავისა



ხასიათწამხდარი ზაქარა აქეთ-იქით იხედებოდა, ყურს იყრუებდა, ჩემი და არაბულას ქება გულს უკლავდა.

* * *

ზაქარაანი ჩვენს გვერდით ცხოვრობენ. ახალი ორსართულიანი სახლი უდგათ. რაც ჩემი თავი მახსოვს, ეს დაბალი, კუნძოვით დამრგვალებული ბიჭიკი მახსოვს. ჯერ კიდევ მაშინ, როცა მე და ის წყლით სავსე საარყე ქებაში ვკეჭებოდავით, ზაქარას ერთი ცუდი ზნე სჭირდა: უბრალო რამეზე ძირს ვაიშნლართებოდა, ყურისწამლებ ტირილს მოერთავდა და იმდენ ხანს ღრიალებდა, რომ ტირილის მიზეზი ავიწყდებოდა.

ერთხელ სკოლიდან მოვდიოდით. ზაქარამ ხელში ფანქარი დამინახა და წამომედავა — ჩემია, უნდა მომცავო. ფანქარი ჩემი იყო და ცოცხალი თავით რას დავახებდები. ის კი არ მეშვებოდა. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ერთმანეთს მამლებივით დავეძგერეთ. შუასაბამა გამოვდე, ის იყო ბოლოკივით უნდა ამომეღო, რომ ბალახზე ფეხი დამიკურდა და ნეხეში გავიშნლართე.

გახარებული ზაქარა სიცილით იჭაჭებოდა.

სიროცხელით დავიწვი! სამაგიეროს გადახდა მინდოდა, მაგრამ ამოთხვრილს როგორღა მეჭიდავა?! შარვალ-ხალათი ბალახით გავიწმინდე, რათა დედაჩემს არაფერი შეენიშნა. კარგი ბიჭი ხარ და დედაჩემს რამეს გამოაპარებ! მისვლისთანავე შემატყუო და მკითხა. როცა ყველაფერი აუამბე, გულმოსულმა თქვა:

— შეილო, ზაქარას სულაც ნუ გაეკარები, ეგ ისეთი მამის შვილია, უნდა აქო და ერიდო!

ზაქარას მამა, ლაღო ჯორბეხაძე, ადრე კოლმეურნეობის თავმჯდომარე ყოფილა. ზამთარ-ზაფხულ ვიწრო გალიფე და წვივებზე შემოკრული ჩექმები აცვია. გვერდით ჩალილულ, შავი სატინის ფართო ხალათზე წვრილი, ვერცხლის ბალთებიანი ქამარი არტყია. წითელსარჩულიანი ფუფახი მუღამ შუბლზე აქვს ჩამოფხატული.

სოფლის მოედანზე რომ ჩამოივლის, თუ ბიჭებმა სალამი შეუგვიანეს, მივა და ერთ ამბავს დააყრის: აი, თქვე ყეყეჩებო, თქვე გაუთლელებო, როგორ არ იცით, რომ უფროსს პატივი უნდა სცეთ და თავის

დახრით მიესალმოდით! რაც სიმართლეა, თვითონ ჯორბეხაძე გულუხვია უფროსების პატივისცემაში: კოლმეურნეობის თავმჯდომარეს დღეში ათჯერ რომ შეხვდეს, ათჯერვე ქულის მოხდითა და თავის დაკვრით ესალმება.

დედაჩემის დარიგების შეძღვევ ზაქარასაც ვერიდებოდი და, რაც არ უნდა დაეშავებინა, ყველაფერს ვუთმობდი. ის კი სულ უფრო მითამამდებოდა, ქუდს თვალეზე მიფხატავდა და მუჭლუგუნს მკრავდა ხოლმე.

ზაქარას თავისი თავი ყველაფერში პირველი ეგონა და ვერ იტანდა, თუ ვინმე რამეში აჯობებდა. არაბულათი რომ გავუხსწარი, მეორე დღეს ყველას მიგვასწრო, თავლაში და არაბულას სტაცა ხელი, ამ კვიცზე უნდა შევკდეო.

კრინტი არ დამიძრავს. ან რა მქონდა სათქმელი. არაბულა ისევე ეკუთვნოდა ზაქარას, როგორც მე. თანაც ჯორბეხაძე იქ იყო და, ზაქარას რომ შეედავებოდი, თავლიდან მიფრენდა.

ბიჭები ცხენებს მოახტნენ და მდინარისაკენ გაემართნენ. ზაქარამაც არაბულას ფაფარში ხელი ჩაავლო, მუცლით წელზე შეახტა, მაგრამ კვიცი აკუნტრულდა და არ შეისვა, თავი წაართვა და ხელიდან გაუსხლტა. ზაქარამ წაიფორხილა და კინალამ ცხვირით მიწა მოხხა, დაოთხილი არაბულა კი ცხენებს გამოეკლავდა.

— ეგეც შენა! -- ჩავილაპარაკე ჩემთვის ხმადალა.

— რაი, რაი?! -- ზაქარა ჩემსკენ გამოემართა და ხელი მომიღერა. გვერდით შევეტრიალდი. უცებ მეორე ხელით ქუდი მომხადა და წუმპეში ჩამიგდო.

გავმწარდი. მინდოდა ამ თავხედისათვის საკადრისი პასუხი გამეცა, მაგრამ დედაჩემის სიტყვები გამახსენდა და თავი შევეკავე. გათამამებულმა ზაქარამ ესეც არ მაკმარა: ქუდის ასაღებად რომ დავიხარე, ჭიტლაყი ამომცხო და კინალამ ცხვირი წუმპეში ჩამაყოფინა.

— არ დააყენებ ენას? უარესს გიზამ! -- დამემუქრა და არაბულას გამოედევნა.

თავლიდან პაპაჩემი გამოვიდა, რაღაც დამცინავად გამიღიმა და შემიკითხა:

— ბიჭო, კობა, ასე რამ გავაოფლიანა?

მიჭირდა თქმა, მაგრამ პაპასთან არასოდეს მიცრუია, ახლაც არ გადავუხვებ ჩემს ჩვეულებას და სიმართლე ვუთხარი.


— ეპ, შეილო, ყველაფერი ჩემი თვალთ დავინახე! -- თავი ჩაიქნა პაპამ. -- სახელს პატარა ბიჭობდანვე უნდა გაუფრთხილდე და თავი არავის დააჩაგვრინო!

გული ბოლმით ამევსო. „მე რა, დაბალი ღობე მნახა?! -- გეკითხებოდი ჩემს თავს. -- რითი ვარ იმაზე ნაკლები, ტანით თუ ღონით? რა ვუყოთ, რომ ზაქარა ყველაფერში პირველობას ჩემულობს. რაშიც უნდა — გავეჯობებ, სირბილში თუ არ ვაჯობებ, არც ჩამოფეხვარდები. ცურვაზე თუ მიდგა საქმე, რაც არ უნდა გაიჭაჭოს, სულერთია, ჩემზე შორს ვერ გასკურავს. ჰოდა, რითია ის ჩემზე მეტი? არაფრით! მამ, რატომ გავათამამე, რატომ ვაჩაგვრინებ თავს? ჰოდა, მორჩა, მოთმინების ფილა აივსო. პირველი შემთხვევისთანავე საკადრის პასუხს გავცემ. თუ საჭირო იქნება, ხელსაც შევუბრუნებ.“

პაპასთან ამაზე კრინტიც არ დამიძრავს, მაგრამ გულში კი მტკიცედ გადავწყვიტე, რომ უკან აღარ დამეხია და არც არაფერი დამემთმო მისთვის.

* * *

გაიარა რამდენიმე დღე. ბიჭებმა არაერთხელ ჩამოაგდეს არაბულაზე სიტყვა, მაგრამ ზაქარა ყურს იყრუ-



ებდა. ყურს კი იყრუებდა, მაგრამ ერთი იმის გულშიც ჩაგებდათ, რა ხდებოდა?! სულ არაბულას შორი-ახლოს ტრიალებდა, ცხადად ვამჩნევდი, რომ ოცნებობდა კვიცს ზურგზე მოქცეოდა და სოფლის გზაზე ენაგარდა. იმასაც ვატყობდი, რომ გულში შიშის ქარი ჰქონდა, — ვითუ არაბულამ ისევ არ შემისვას და მეორედ ვჭამო სირცხვილი!

ერთხელ ზაქარას თავლაში მოსვლა შეაგვიანდა. ბიჭებმა ცხენები დავეითითოვეთ.

ის იყო არაბულა ეზოში გამოვიყვანე, რომ ზაქარაც გამოჩნდა. ხან ვის წაედავა, ხან ვის, — ცხენი დამითმეთო, მაგრამ ყველა უარს ეუბნებოდა.

— ზაქარა, არაბულაზე შეჯექი. აკი ტრახახობდი, რაღა ბიჭი ვარ, თუ ზურგზე არ მოვექცივით! — დაუძახა მამუქამ, რომელსაც ბიჭების ერთმანეთთან წაყინკლაგება და სეირის ცქერა უყვარდა.

— შევვლები კიდეც! — მიუგო ზაქარამ და აღვირი ხელიდან გაკომტაცა.

მე ისევ ჩვეული გაუბეღაობა დამეუფლა და ენა მუცელში ჩამივარდა.

— ზაქარა, რატომ ეცილები ამხანაგს? ხომ იცი, რომ ეგ ცხენი კობასია! — დაუძახა რომელიღაც ბიჭმა.

— ვისია. ვისი? — ჩაეკითხა ზაქარა

— ვისია და კობასი!

— კობასი არა, ტოროლასი! ცხე-

ნი კოლმეურნეობისაა და, ვისაც უნდა, ის შეჭდება.

ზაქარა არაბულას ნესტოებში სწვდა და ორმაგი ლაგამი ამოსდო. მერე ფაფარში ჩაავლო ხელი და წელზე მუცლით შეახტა, მაგრამ ფეხის გადალაგება ველარ მოასწრო, რადგან კვიცი აკუნტრულდა და კინაღამ ფეხქვეშ მოიყოლა.

შერცხვენილმა ზაქარამ ცხენს შესძახა, — იი, შე სამგლეგ შენა, — და სახეში სახრე დაუშინა.

გულმა აღარ მომითმინა, ზაქარასთან მივიჭერი. ხელი სახრეში ვტაცე და შევძახე:

— რატომ იმეტებ პირუტყვს, რა დაგიშავა, რას ერჩი?!

— აბა, მაშ შენისთანა სულელი კი არა ვარ, რომ ამ გადარეულ კვიცს შაქარი ვაჭამო! — დამცინავდ ჩაიხითხითა ზაქარამ.

— რა შენი საქმეა, გინდა შაქარს ვაჭმევ, გინდა შოკოლადს!

— შენი რაღა საქმეა, სახრეს გადავცხებ, თუ მათრახს? სანამ გვიან არ არის, გირჩევნია განზე გადგე! — და უცებ ზაქარამ იდაყვი წამკრა.

— ხელები დამოკლე, თორემ წამოვიდა ცხელ-ცხელი ლავაშები!

— ძიგი-ძიგი მამალა, შენ იცი და მაგანა! — წაიმღერა მამუქამ.

— შენ რა, ხომ არ დაგავიწყდა, ნეხვში რომ გავგორავე? — მითხრა ზაქარამ და მუშტი მომიქნია.

შემოკვრა აღარ დავაძალე, თავი დავლუნე, წელში შევეუვარდი, უცებ ჰაერში ავიტაცე და მიწაზე დავანარცხე.

ზაქარა იმავე წამს წამოხტა, ჩემ-

სკენ გამოეჭანა და მუშტები დამაყარა. არც მე დავიბენი და გემოზე ვუთაქე და ვუთაქე...

უცებ ვილაცა კისერში მწვდა, ჭიშკრისაკენ შემაბრუნა და მიბიძგა:

— აი, შე სალახანავ, აქ აღარ დაგინახო!

ეს ზაქარას მამა იყო.

გავიდა რამდენიმე დღე. ცხვარი და ცხენები მთაში გარეკეს საძოვრებზე.

— გინდა, მთაში წაგიყვანო? — მკითხა პაპამ.

— მინდა რომელია, ჩემი ნატვრა ეგ არის!

— აბა, მაშ მოემზადე, ხვალ დილით წაველთ!

— უჰ, შენი ჭირიმე! — შევძახე გახარებულმა და პაპა გადავკოცნე.

დილით, საუზმეს რომ მოვრჩით, პაპამ თავისი ორლულიანი თოფი აიღო, მე კი საგზლით სავსე პატარა ჩანთა მხარზე მოვიგდე.


— მამა, შენი ჭირიმე, — ეუბნებოდა პაპას დედა, — ბევრზე თვალყური გეჭიროს, არ გაცივდეს, და რაიმე ხიფათს არ გადაეყაროს.

— დარდი ნუ გაქვს! — დაამშვიდდა პაპამ. — კობა ჭკვიანი ბიჭია.

სოფლიდან გავედით თუ არა, ორ მთას შუა მიმავალ გზას დავადექით. ვზაზე ორი მხედარი დავინახეთ, ცხენებს ჩვენსკენ მოაჭენებდნენ.

— ფერმის გამგეა, — ჩაილაპარაკა პაპამ და ცხვირსახოცი თუბლზე ოფლი მოიწმინდა.

— მეორე ვილა? — შევეკითხე.



რადგან მხედარი ცხენზე არ ჩანდა, და გულში გამკრა, ზაქარა ხომ არ არის-მეთქი.

— ალბათ, ზაქარაა. ჯორბენაძე ამბობდა, ბიჭი უნდა წამოვიყვანო მთაშიო.

მართლაც მამა-შვილი გამოდგა. ფერმის გამგემ აღვირი უცებ მოქაჩა და ცხენი ჩვენ წინ შეაჩერა.

შვილმაც მამას მიბაძა და ლურჯი ულყი წინა ფეხებით ადგილზე დაარჯო.

— გიორგი, ეს რა ნელა გივლია! — მიმართა პაპას ჯორბენაძემ.

— რა ვქნა, შენი ჭირიმე, შეუსვენებლივ მოვდივართ.

ზაქარას სადავე მოკლედ ეჭირა და ცხენს ფერდში ურტყამდა. ულყი ფრუტუნებდა, თამაშობდა და განზე იწევდა. პატარა მხედარი მედი-ღურად შორს იხედებოდა, მე და პაპაჩემს ბუზადაც არ გვაგდებდა.

ჯორბენაძემ თავით-ფეხებამდე შემათვალეირა და პაპაჩემს ჰკითხა:

— ე ბიჭი სადლა მიგყავს?

— მთაში, შენი ჭირიმე.

— კარგია! — თქვა ფერმის გამგემ და მერე ცხენს გამეტებით გადაუჭირა მათრახი.

ზაქარამაც სადავე მიუშვა. ულყი უცებ მოსწყდა ადგილს და ამხანავს წამოეწია.

— ეგრე კი არ არის შვილოსა, ცხენით რომ მიჰქენაობ. ერთი მხარეში ამომიდექი და ვნახავთ ვინ ვის აჯობებს! — ხმამალა თქვა პაპამ, თითქოს ჰენებით მიმავალ მხედრებს ხმა უნდა მიაწვდინოსო.

მივიდიოდი და ვფიქრობდი: მართლა რა სეირი იქნება, სქელი, რუმბივით დამრგვალუბული ჯორბენაძე, ზამთარ-ზაფხულ ოფლში რომ იწურება და ქოშინებს, ამ აღმართს ფეხით შეუყენონ-მეთქი.

ამასობაში მხედრები მიიძალნენ და ცხენების თქარუნიც მიწყდა.

ჩვენც ავათავეთ აღმართი და დაბურულ ტყეში შევედით; რა კარგია შეფოთლილი ტყე! ჩუმად დგანან მალალი ხეები, რომელთაც კენწეროებიც ცაში აუტყორცნიათ და ოდნავ ორბევიან. ხის ძირებთან უხვადაა ფერადი სოკოები. ტოტიდან ტოტზე დანტიან ადამიანის ხილვით გაოცებული ციყვები. ტყის სიღრმეში კი გარეული ქათმები გაუთავებლად კრიახობენ. ხან აქ, ხან იქ ისმის გუგულების გადაძახილი:

— გუ-გუ! გუ-გუ!
პაპა ნელი ნაბიჯით მიდიოდა. ხან

რომელ ხეს დამანახებდა, ხან რომელ მცენარეს და მეკითხებოდა, — აბა, თუ იცი, რა ჰქვიაო. ბევრი ვიცოდი, ბევრიც — არა. ნეტავი ვინ იცის ყველა ხისა და მცენარის სახელი, რომ მე ვიცოდე! თვითონ პაპაჩემმა, წელთა სიმრავლით თმა და წვერ-ულვაში მყინვარით რომ გასთეთრებია და, მისივე სიტყვებით რომ ვთქვა, ჭიბი ამ ტყეში აქვს მოჭრილი, განა ყველა ხისა და მცენარის სახელი იცის?!

ტყიდან პატარა მდელოზე გავედით, მარჯვნივ გავუხვიეთ და მთაზე ამავე ბილიკს დავადექით.

შუალდის გული იყო, ცხვრის სადგომამდე რომ მივალწვიეთ.

მთის ძირში ფიჩხით შემოხლულული. ხუთი ბაკი მოეწყით. ბაკების აქეთ-იქით მწყემსებს თავიანთი საცხოვრებელი კარები დაედგათ.

ბოლო კარავთან შევჩერდით. პაპამ თქვა, — აქ იქნება ჩვენი ბინაო.

ცოტა დავისვენეთ, დავნაყრდით და ცხვრის ფარისაკენ გავეშურეთ. მზიანი დღე იყო, მაგრამ როდი ცხელოდა. თითქოს რაღაც უხილავ ორმოდან გამუდმებით უბერავდა გრილი ქარი და მზის მსურვალე სხივებს აქეთ-იქით ფანტავდა.

ცხვრის ფარას რომ მივუახლოვდით, კუდის ქნევით და ლაქუციით შემოვგებებნენ ბომბორა ძაღლები.

მეცხვარეები პაპაჩემს შემოეხვივნენ და სოფლის ამბავი ჰკითხეს. მე პატარა გორაკზე ავირბინე და გარემოს თვალი მოვაგლე.

ხევის დაბლა, აბიზინებულ მოლზე ცხენების რემა სძოვდა. არაბულაც იქვე იყო.

მოსალამოვებისას ცხენები მე და პაპამ გამოვალაღეთ იალაღებიდან.

ცხვარი რომ დავაბინავეთ და ვივახშმეთ, ფერმის გამგემ მწყემსები თავისთან მიიხმო. პაპამ მეც თან წამიყვანა.

კოცონის ირგვლივ ისხდნენ მწყემსები. ზაქარა მამის გვერდით მოკალათებულიყო.

— ზაქარა, შვილო, შენ და კობას აქ არაფერი გესაქმებათ, წადით და თქვენთვის ითამაშეთ, — თქვა ჯორბენაძემ.

ზაქარა უხმოდ წამოდგა და განაპირა კარვისაკენ გაემართა. სხვა რა გზა მქონდა, მეც უკან ავედღენე. კარვის წინ მოლზე წამოვწყექი. ერთ-

ხანს ჩუმად ვისხედით. მერე ზაქარამ თქვა:

— გინდა, ხვალ მე და შენ ვაძოვოთ ცხენები?

— რატომაც არა, მინდა.

— ჰოდა, იქ გავსწორდეთ. არც არავინ დაგვინახავს და გამშველებიც არავინ გვეყოლება. თანახმა ხარ?

არც ჰო-ს ვეუბნები, არც არა-ს. ჰო-ს თქმა მიჭირდა, რადგან იმისა მეშინოდა, ვათუ შემომელახოს-მეთქი. ამაზე მამამისი ერთ ამბავს დამაყრიდა და იქნება საძოვრებიდანაც გავეგდე. უარი რომ მეთქვა, ზაქარა ბიჭებში დაიტრახებდა, კობა ჩხუბში გავიწვიე და არ გამომყვო.

— ხმა ამოიღე, რა მუცელში ჩავივარდა ენა. შეგეშინდა? — მიკითხნებდა ზაქარა.

უცებ გული მომივიდა:

— რაკილა ასე ხარ გატყუპას მონდომებული, თანახმა ვარ!

* * *

დილით, სანამ ბაკიდან ცხენებს გამოვუშვებდით, ზაქარა ლურჯა ულყის მოახტა, მე კი მუცელგაბერილი ფაშატი დამანახვა, — შენ იმაზე შეჯექი, ასე თქვა მამაჩემმაო.

მაკე ფაშატს მუცელი ფეხებში ჩასთრევდა და ძლივს დადიოდა. ფაშატზე შეჯდომა არ ღირდა, მაგრამ აბა, რა მექნა, ცხენების რემას ფეხით ხომ არ მივყვებოდი? ბაკიდან ცხენები გამოვუშვით და საძოვრებისაკენ გავლაღეთ. ზაქარა ჯოგს წინ მიუძღოდა, მე კი უკან მივდევდი მუცელგაბერილი ფაშატით.

ხევის დაღმართი რომ ჩავათავეთ, ბუჩქებიდან ზაქარას მამა გამოვარდა, მათრახი ცხვირწინ ამიქნია და აღვირწინ ხელი მიტაცა.


— აი, შე სალახანავ! — მიყვიროდა იგი, — სად გაიზარდე ასეთი უქნარა! ამოდენა ცხენებია და შენ კი მაკეზე შემჯდარხარა?!

— ძია ლაღო, არც მე მინდოდა ამ ფაშატზე შეჯდომა, მაგრამ თქვენ გითქვამთ ასე და რა მექნა? — მივუგამ ათრთოლებული ხმით და უშალ ცხენიდან ჩამოვხტი.

— რას როშავ, ბიჭო, ასეთ სისულელეს როგორ ვიტყოდი?

— ზაქარამ მითხრა!

ფერმის გამგეს, ეტყობა, მოეწონა შვილის ხუმრობა, სახეზე ღიმილი გადაეფინა, წაწვეტებული ულვაშე-



ბი მალლა აიგრიხა და სიცილით თქვა:

— უყურე ამ ეშმაკს! — მერე თავზე ხელი წამცხო. — ჰო მაგრამ, შენც ხომ უნდა გქონდეს ჭკუა! ვინც რას გეტყვის, ყველაფერი კი არ უნდა დაიჯერო! ეს ერთი მიპატიებია, ასეთი რამ მეორედ აღარ ჩაიდიხო!

სიტყვა მივეცი, მაკე ცხენზე აღარ შევვლები-მეთქი და რემას ფეხით გამოვედევნე.

ფერმის გამგე რომ თვალს მიეფარა, ზაქარამ ჩემთან მოაგდო ცხენი.

— რას ჩამოქვეითდი, ფენისგულები ხომ არ გექავება?

— ფენისგულებისა რა ვითხრა, ხელისგულები კი მართლა მექავება. რალა ბიჭი ვარ, თუ სამაგიერო არ გადავიხადე!

თითქოს არაფერი მომხდარიყო, ზაქარამ წაფოტა კბილები გადმოყარა და კრეჭით თქვა:

— არაფერია, ეს ძველი და სხვა ახალი! სჯობია საქმეზე ვილაპარაკოთ. იცი რა ვითხრა, მოდი და ცხენები აგერ, იმ გაშიშვლებულ მთის ძირას წავასხათ, თურმე წელამდე ყოფილა ბალახი!

— სარქალი შენა ხარ და მე რას მეკითხები!

— შენი თავი აიგდე მასხარად. ცხენებს მწყემსავ და ფეხით კი დაჩანჩალე! აღვირი მაინც მომწოდე. არ გინდა, კოლმეურნეობის თავმჯდომარის ლაფზა მოგგვარო?

— შენი სამოწყალო არაფერი მაქვს, მე თვითონ დავიჭერ ჩემს არაბულას.

კვიცებში განავარდებულმა არაბულამ ჩემი ძახილი გაიგონა თუ არა, უკან მოიხედა და ნაზიხს უქლო. კვიცთან მივირბინე და სადავე მოვარგე. როცა ზედ მოვანტი, აჭიზვინდა და ცხენებს გამოედევნა.

სტვენითა და მათრახის ტყაცატყუცით ავლალეთ ცხენები გაშიშვლებულ მთის ძირას. მშვენიერი იალალი იყო. მალალი, ლამაზი ყვავილებით მოფენილი. ჯერ აქ ცხვარს არ გაევილო და, ალბათ, არც სხვა რომელიმე ძუძუმწოვარა ცხოველს დაედგა ფეხი.

ცხენებმა ბალახზე გაილაღეს. არაბულას აღვირი შევხსენი და გააფუფი, ზაქარამ კი შუა მდებლობე პალო დაარტო და ზედ ლურჯა დააბა გრძელი თოკით.

— ახლა ცოტა დავისვენოთ, — მითხრა ზაქარამ და ბალახზე გაგორდა. მეც დავჯექი.

— ჰა, რას იტყვი, ახლა ის დრო ხომ არ იქნება, კუქს რომ პატარა ბოძი შევუყენოთ? — თქვა ზაქარამ და ჩანთიდან შოთის პური და მონარშული ხორცის ნაჭრები ამოლაგა. ისე მადიანად ილუქმებოდა, მეც ჭამის საღერდელი ამეშალა. ჩანთიდან ყველი და პური ამოვიღე და ჭამას შევუდექი.

როცა კუჭი დავიამეთ, ზაქარა მხართეძოზე წამოწვა, — ჭამის შემდეგ დასვენება არაფერი სჯობიაო. მე კი ამოვდექი და რემას გადავავლე თვალი. ცხენები გემრიელად სძოვდნენ ბალახს, კვიცები კი აქეთ-იქით დაკუნტრუშობდნენ, ერთმანეთს კბენდნენ და წიხლებით უმასპინძლდებოდნენ.

ჩანთიდან სალამური ამოვიღე და ჩავებრე. ამწვანებულმა გორაკებმა და მთავლებმა რალაც სასიამოვნო ბანი ვაიღეს.

— ყოჩაღ შენა, რა კარგი დაკვრა გცოდნია! — შემაქო ზაქარამ. — ვინ გასწავლა?

— არავისაც არ უსწავლებია, ჩემით ვისწავლე.

ზაქარამ თავი გადააქხ-გადმოაქხია და თქვა:

— რა ვიცი, მე კი ვერ ვისწავლე და!

— თუ გინდა, მე გასწავლი.

— როგორ არ. მიხდა, მაგრამ მუსიკის ნიჭი არა მაქვს და, ვიცი, არაფერი გამოვა!

ზაქარა ტყუილად არ იყო თავის თავზე გულგატეხილი. ხან როგორ ვურჩიე, რომ ჩაებერა, ხან როგორ. თითების მოძრაობასაც ვუჩვენებდი, მაგრამ არა და არ გამოუდიოდა. დაკვრა მაინც გაუტკმა და სადილობამდე აჭყვიტინებდა.


სალამოს, ცხენები რომ ბაკში დაყბინავეთ, ფერმის გამგემ შეგვაქო:

— ყოჩაღ, ბიჭებო, ცხენებს ფერდები გამობერვით. ეტყობა, კარგ იალალს მიაგენით!

გაილიოდა დღეები. არც ზაქარა მეუბნებოდა ჩხუბზე რამეს, არც მე ვძრავდი კრიტს.

ცხენებს უფრო მეტად მე ვუდექი, ზაქარა კი იღვა და სალამურის ჭყვიტინით გულს აწყალებდა.

ერთხელ, ნასადილეგს, არწივის ფრთების ძლიერი შხუილი მოგვესმა. ცის მბრძანებელს ბრწყალეში რალაც თეთრი ნადავლი ეჭირა.



უცებ ქვასავით დაეშვა ძირს და ჩვენი მალა, იქ, სადაც მთის მწვერვლიდან მზის თქროსფერ სხივებში გახვეული ჩანჩქერი გადმოქუქუნდა, კლდის წვერზე შემოჯდა.

— ვაითუ არწივმა ბატკანი მოიტაცა! — თქვა ზაქარამ.

— ადვილი შესაძლებელია, — მივუბნე მე.

— წავიდეთ, იქნებ მივუსწროთ და არწივის ბრჭყალებიდან ვიხსნათ.

— უკვე გავუღული ეყოლება. ესეც რომ არა, ადვილი როდია ამ კლდეებზე სიარული.

ზაქარა არ მომეშვა და გავუღვიქით გზას. თუმცა სად იყო გზა. მივდიოდით წილამდე ბალახში, ძივცოცავდით კლდეებზე და, როგორც იქნა, მივალწიეთ იმ ადგილს, სადაც არწივი იჯდა. ავფოფხდით კლდის წვერზე, ყოველ ხერხელში ცხვირი შეგვყავით, მაგრამ ვერც არწივის კვალს მივაგვინით, ვერც მოტაცებული ბატკნის ძვლები ვიპოვეთ. მერე არწივის ბუდის ძებნაში გავერთეთ და ცხენები სულ გადაგვაფიწყდა.

უცებ შემზარავად დაიქუხა. კლიდან ჩამოვცოცდით და ჩქარი ნაბიჯით უკან დავეშვით. სულ უფრო დაბლა ეშვებოდნენ ტყვიისფერი ღორბლები, ცა ცეცხლის ენებით ისერებოდა, ისმოდა გამაყრუებელი ჩეჩქა-ქუხილი... ერთბაშად ისეთი წვიმა წამოვიდა თითქოს კასრებიდან წყალი გადმოასხესო. იძულებული გავხდით, იქვე, კლდის ძირას პატარა გამოქვაბულს შევფარებოდით.

გამოქვაბულს გვერდით პატარა ნაკადული ჩამოუღიოდა. იგი მალე ნიაღვრად იქცა, ტალღები კლდეს

ენეთქებოდა, შხეფები სახეში გვესხმოდა.

— გავიქცეთ, თორემ გამოქვაბული მალე წყლით აივსება! — მითხრა ზაქარამ.

გამოქვაბულიდან გამოვძვეით და იალალისკენ გავიქციეთ. ბეგრი ვირბინეთ, მაგრამ ჯოგს ვერა და ვერ მივაგვინით.

— ნამდვილად გზა აგვერია! — თქვა ზაქარამ.

ვიღვიქით თავსხმაში და აქეთ-იქით ვიხედებოდით, მაგრამ სიბნელეში ვერაფერს ვხედავდით. ბოლოს გუშანით ხელმარჯვნივ გავემუტრეთ, ამჯერად სწორად ვიარეთ და საძოვარზე გავედით, მაგრამ არც ერთი ცხენი აღარ დაგვხვდა. ზაქარას ულაყსაც აეწყვიტა და პალოზე თოქილა ება.

ისე ჩამობნელდა, ორ ნაბიჯზე არაფერი ჩანდა. ხანდახან ცაზე ელვა გაიკლაკნებოდა და ირგვლივ დღესავით ხათლებოდა.

ბაკებისაკენ მოვკურცხლეთ. ბედზე წვიამ გადაიღო, ღრუბლები გაიფანტა და კანტიკუნტად გამოჩნდნენ ვარსკვლავები.

ხევიდან ცხენების თქარუნთ შემოგვესმა. მალე ცხენებიც დაგინახეთ, ისინი ერთმანეთს აწყდებოდნენ და წინ წასვლას ვერ ბედავდნენ. უცებ ხევის გადაღმიდან მგლის ყმული გავვიგონეთ.

ადგილზე გავშეშდით. სულს ძლივს ვითქვამდი. მუხლები ამიკანკალდა.

ეტყობა, არც ზაქარას უქროდა ჩემზე ნაკლებად შიშის ქარი: გვერდში მეკვროდა, გაფართოებული თვალებით ხევეს გაღმა იხედებოდა და კრინტს არ სძრავდა.

გავონილი მქონდა, — ცხენების რემსთან მგლები ვერაფერს ხდებთან, ცხენები კამარას ჰკრავენ, წიხლებით იგერიებენ მგლებს და ახლოს არ იკარებენო. ამიტომ ზაქარას წავჩურჩულე:

— ცხენებთან მივიდეთ. თუ ზურგზე მოვექმეთ, მგლები ვეღარ შემოგვებდავენ.

სირბილით დავეშვით ხევში.

ცხენებმა ფეხის ხმა რომ გაიგონეს, უფრო აჩოჩოლდნენ. ახლაც არ ვიცი, რა მოხდა. ცხენებს ჩვენი დანახვით გული მოეცათ თუ რა იყო, — უცებ იხუვლეს და გაშენდნენ.

— არაბულა, არაბულა! — ამ გა-

ჭირვებაში ესლა წამოვიძახე და ცხენებისაკენ გავიქციე.

სირბილით მიმავალ რემს ერთი ცხენი გამოეყო. შეჩერდა და ჩვესსკენ დაიწყო გაალმასებული თვალუბით მხერა. ვიცანი — არაბულა იყო. ჭიხვინით შემომეგება. ფაციფუტით აღვირი მოვარგე და ზურგზე მოვექციე.

არაბულამ ცხენებისკენ გაიწია, მაგრამ სადავე ღონივრად მოვქაჩე და უკან მოვაბრუნე.

— კობა, შენი ჭირიმე, მარტო არ დამტოვო! — მევედრებოდა ცრემლნარევი ხმით ზაქარა.

— ნუ გეშინია, ზაქარა, შოღო, უკან შემოვქეცი!

ზაქარამ ქამარში ხელი ჩამავლო, ჩემმა ფეხმა უხანგის მაგივრობა გაუწია და არაბულას ჩემს უკან შემოახტა.

ათამაშებულ კვიცს აღვირი მივუშვი და ფერდში ქუსლი ვკარი.

არაბულა ისარივით მოსწყდა ადგილს.

— მიდი, შენი ჭირიმე, არაბულა, მიდი! — ვეჩურჩულებოდი დაოთხილ კვიცს.

ის იყო აღმართი ავთავეთ, რომ არაბულა უცებ შეჩერდა, ყურები ცქვიტა და უკან-უკან დაიხია.

ირგვლივ ბნელი დამე იყო, მაგრამ ყველაფერს გარკვევით ვხედავდი. ეტყობა, გაჭირვებაში ჩავარდნილ ადამიანს გამბედაობასთან ერთად თვალში სინათლე და ყურში სმენა ემატება.

ჩვენგან ორმოციოდე ნაბიჯზე რაღაცამ გადაიბრინა. მალე ბნელ ბუჩქებიდან ორმა ნაკვერცხალმა გამოანათა.

— კობა, ეს ხომ მგელია! თავს ვუშველოთ! — წამოიძახა აკანკალებული ხმით ზაქარამ.

იღდა მეცა, სუნთქვა შემეკრა და ტანზე შიშის ეკალი დამაყარა, მაგრამ, ეს ალბათ ერთი წამით იყო.

კვიცს ფერდებში ქუსლები შემოვცხე და შევძახე:

— ნუ გეშინია, არაბულა, გასწი, გაფრინდი!

მაგრამ არაბულა ადგილიდან არ იძროდა, არც მგელი გვაძლევდა გზას.

ბუჩქებიდან მეორე მგელი გამოძვრა და ამხანაგს მხარში ამოუღდა.

სადაც, მარჯვნივ, მგლის ყმული გაისმა, მას ჩვენს უკან მგლების ხროვა გამოეხმაურა. თითქოს კლდეებმაც მისცეს ბანი, შორს მა-

ლალმა მთებმაც დაიბუბუნეს და ეს შეერთებული საშინელი ხმაური მეხივით დაგვატყდა თავზე.

არაბულამ ყურები ცქციტა, ხმამალლა დაიჭივინა, თითქოს რალაც უფრო დიდი საშიშროება იგრძნო, ისარივით წინ გაიჭრა, რამდენიმე ნახტომით მგლებთან გაჩნდა და ერთი მათგანი კინალამ გათელა.

უკანმისახედად სად გვეცალა, მაგრამ მეც და ზაქარაც ვგრძნობდით, რომ მგლები ფეხბაფებ მოგვედევინებენ.

უცებ არაბულამ, ისე, რომ სიჩქარე ოდნავადაც არ შეუწელებია, ტყუპი წიხლი გაიქნია. ჩვენს უკან საშინელი ყმული გაისმა. ეტყობა, მგელი ცდილობდა ცხენს ზურგზე მოჩტომოდა, მაგრამ არაბულა დროზე მოუხვდა და ტყუპი წიხლი უთავაზა, მერე ერთხელ კიდევ გაიმეორა ეს იღეთი და მეორე მგელიც ააყმუვლა.

ცხენის წიხლის ძალა რომ იგემეს, მგლები უკნიდან მოახლოებას ვეღარ ბედავდნენ, შორიასლო მოგვედევდნენ აქეთ-იქიდან. ერთმა წინ გადაავიზინა, მეორემ, — გაგვისწრო და პატარა კლდეზე ახტა, ალბათ, უნდოდა ცხენს ნესტოში სწვლომოდა, ან იქნებ კისერზე შემოხტომასაც ფიქრობდა, მაგრამ არაბულა მოულოდნელად მარჯვნივ შეტრიალდა და ჩასაფრებული მგელი ხახამშრალი დარჩა...

და აი, ამ საშინელ წუთებში ძაღლების შორეული ყეფა შემოგვექმნა. მგლები უმალ სიბნელეში გაქრნენ, არაბულამ კი ერთი ხმამალლა დაიჭივინა და უფრო დაიმედებულად განაგრძო სვლა. მალე გავარჩიეთ ტყენებით მომავალი მხედრები, — ისინი ჩვენს მოსაშველებლად წამოსული მწყემსები აღმოჩნდნენ.

* * *

უკვე კარგად იყო გათენებულს, რომ გამომეღვიძა.

პაპაჩემი კარვის შორიასლო ტრიალეზდა. დამინახა თუ არა, მოვიდა და მითხრა:

— ბარაქალა, შვილო, ეს რა ყოჩალად მოქცეულხარ!

— პაპა, მე ისეთი არაფერი გამოკეთებია. არაბულა რომ არ ყოფილიყო, აი, მაშინ იქნებოდა ჩვენი სერი.

— ჰო, არაბულასაც უნდა ვუმალოლოდეო. კარგი ულაყი დადგა, ღმერთმანი! იგ კიდევ ბევრგან ისახელებს თავს, ჯირითებსა და შეჯიბრებებში გამარჯვებას მოგიტანს!

ჯორბენაძემაც შემომცინა და მხარზე ხელის დაკვრით შემაქო: — ყოჩაღ, ბიჭო, სანაქებოდ მოქცეულხარ! ზაქარა ამბობს, კობას რომ არ ემარჯვა, ორივეს მგლები შეგეჭამდნენო.

— წუხანდელი მგლების გახსენებაზე სულ ელეთ-მელეთი მომდის, მართლაც დიდ ნიფათს გადავრჩით!

— მითხრა ზაქარამ.

როცა ვსაუზნობდით, ზაქარას შევნიშნე, რომ თავის წილ შექარს ჯიბეში იყრიდა. ფაციფუციით დალია დაუშაქრავი ჩაი და წამჩურჩულა: — წავიდეთ, არაბულა ვნახოთ.

ერთ ხანს ჩუმად მივდიოდით, ზაქარა მლიმალ გადმომხედავდა, ვატყობდი, რალაცის თქმა უნდოდა, მაგრამ რატომღაც ყოყმანობდა.

— ჰო, მართლა, — დაიწყო ბოლოს მორიდებით, — ალბათ ჩემზე ნაწყენი ხარ, არა?

— რატომ გგონია?

— კი არ გგონია, ვიცი, რომ ასეა. არაფერს მიშავებდი, არაფერს მერ-

ჩიოდი, მე კი არ გისვენებდი. ტყუილბრალოდ ხან რაზე წამოგედევებოდი, ხან რაზე! იცი რა იყო ამის მიზეზი? ჯერ ერთი, შენს ქებას ვერ ვიტანდი, მერე კიდევ, არაბულამ უფრო გამაბოროტა: ის შენ გისვამდა ზურგზე, მე კი არა. კობა, შენი ჭირიმე, თითო ჭირი ყველას ჭირს, რა ვქნა, მეც ეს ნაკლი მაქვს — ვერ ვიტან, როცა ვინმე რამეში მჯობნის. ამიტომ ვიხირდებოდა, მინდოდა რამენიარად დამეჩაგრე, მასხარად ამეგდე, ამხანაგების თვალში დამემცირებინე. რალა დაგიმალოდა, წუხელ დიდხანს ვიტრიალე ლოვინში, ერთთავად იმაზე ვფიქრობდი, რა გამეკეთებინა, ისეთი, რომ ჩემი დანაშაული გამომესყიდა. ბევრი ვიფიქრე, ბევრი ვიტყე თავი, მაგრამ ვერაფერი მოვიფიქრე. ბოლოს გადავწყვიტე ყოველივე შენთვის გულლიად მეთქვა და პატიება მეთხოვა.

— გულწრფელობისათვის გმადლობ, ზაქარა! ისე კი, რაც იყო, იყო, მოდი და ამას ნულარ გავიხსენებთ!

ზაქარამ მეგობრულად დამკრა მხარზე ხელი და კმაყოფილებით მითხრა:

— სამადლობელი შენ რა გაქვს, მადლობას მე უნდა გიხდიდე! საუბარში ვერც კი გავიგეთ, ცხენების ბაკს როგორ მივადექით.

არაბულა ჭიხვინებდა, ტორით მიწას თხრიდა. მე და ზაქარა ახლო მივედით და ფაფარზე ხელის გადასმით მივეფერეთ.

— გმადლობ, არაბულა, გმადლობ! — ყურში ვეჩურჩულებოდი.

ზაქარაც არაბულას რალაცას ეტუტუნებოდა და მალულად შექარს აქმევდა...



აქსუპედიკოს იბაჟი

გ ა ნ ა



ნ ა კ ი თ ხ ე მ რ ა უ ბ ა მ ი ს ს ბ ე ა კ რ ე ბ უ

განა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა ქვეყანაა, რომელმაც თავისი ისტორიის მანძილზე პირველად მოიპოვა თავისუფლება. განელმა პიონერებმა კარგად იციან, რომ მათ სამშობლოს ახლა, დაზგაზე და მანქანაზე არანაკლებ სჭირდება განათლებული ადამიანები. თავის საქმის კარგი სპეციალისტები. ამიტომაც, რომ პიონერები თავგამოდებით სწავლობენ, ითვისებენ კაცობრიობის კულტურულ მონაპოვარს, რომელიც საუკუნეთა მანძილზე ხელმიუწვდომელი იყო მათი მამებისა და პაპებისათვის.

„მუდამ ვემსახურეთ სამშობლოს!“ — ასეთია განელი პიონერების დევიზი. ყოველ დღით მიეშურებიან სკოლებისაკენ ქალაქისა და სოფლის ბავშვები. მოსწავლეები ჩეროში, პირდაპირ ღია ცის ქვეშ, მიწაზე სხდებიან და ისე მეცადინეობენ. (განაში ჭერ არ არის საკმარისი სასკოლო შენობები). თუმცა ჭერ ყველა განელ მოსწავლეს არ აცვია სასკოლო ფორმა, მაგრამ მათი ცნობა იოლია, — წიგნები ჩანთაში კი არ უწყვიათ — თავზე აქვთ დადებული და ისე მიდიან.

განის პიონერთა ორგანიზაციაში გაერთიანებულია ყველა, ვინც სწავლობს ან ემზადება სასწავლებელში შესასვლელად. პიონერთა ორგანიზაციაში იღებენ 5 წლის ასაკიდან 25 წლამდე. 5-7 წლის ბავშვები ცალკე ჯგუფად არიან გამოყოფილი. 8-16 წლის მოსწავლეები მეორე ჯგუფს შეადგენენ. განაში ახლა 500 ათასი ბავშვი სწავლობს, ეს იმ დროს, როდესაც მათ მამებს ოცნებაც კი არ შეეძლოთ სწავლაზე, და ისიც უფასო სწავლაზე.

უფროსი პიონერები (14-25 წლის ასაკისანი) უფროს ჯგუფში არიან გაერთიანებულნი. ისინი არა მარტო სწავლობენ, არამედ მუშაობენ კიდეც მშენებლობებზე და ფაბრიკებში. ახალგაზრდობა ყოველწლიურად თავს იყრის ქალაქ ტამალასთან, სპეციალურ სასწავლო შეკრებაზე. აქ მათ ასწავლიან სოფლის მეურნეობას, მშენებლობის საფუძვლებს. შინ დაბრუნებული შეკრების ყველა მონაწილე ვალდებულია სხვას გადასცეს თავისი ცოდნა. პიონერი, რომელიც რამდენიმე კაცს შეასწავლის წერა-კითხვას, სპეციალური პიონერული სამკერდე ნიშნით ჭილდოვდება. პიონერული რაზმი ახლა ყველა სკოლაშია შექმნილი. პიონერები ხელსაქმობენ, სწავლობენ ზღვაოსნობას, ავიამოდელიზმს, ხალხურ ცეკვა-თამაშობებს, სიმღერებს.

ერთმანეთთან შეხვედრისას განელმა პიონერებმა მისალმება ასე იციან: მარჯვენა ხელს, ნებით წინ, მხარზემთ ასწევენ. პიონერული ყელსახვევი და სამკერდე ნიშანი სამფეროვანია (ასევე სამფეროვანია რესპუბლიკის ალამიც). მწვანე — მარადმწვანე ტროპიკების სიმბოლოა, ყვითელი ფერი — ოქროს სიმბოლო (ტყუილად ხომ არ შეარქვეს ინგლისელმა დამპყრობლებმა განას „ოქროს ნაპირი“), წითელი ფერი — სამშობლოს განთავისუფლებისათვის დაღვრილი სისხლის სიმბოლოა. დროშაზე შავი, ხუთქიმიანი ვარსკვლავიცაა გამოსახული — ეს აფრიკის ხალხთა ურყევი მეგობრობის სიმბოლოა.

პიონერებს თეთრი პერანგები და შარვლები აცვიათ, ახურავთ თეთრივე ქულები. სამკერდე ნიშნებს მარცხენა მხარეს იკეთებენ, მასზე რესპუბლიკის პრეზიდენტის კვამენ კრუმას პროფილია გამოსახული.



საქართველოს
პიონერული
მოძრაობის
სამხრეთ-დასავლეთი
რეგიონის
სამხრეთ-დასავლეთი
რაიონის
სამხრეთ-დასავლეთი
რაიონის
სამხრეთ-დასავლეთი
რაიონის



პიონერებო,
გთხოვთ
ჩქვხე!
PIONEERS,
LINE
UP!

„მოეწყობ
საზუჯი“


— პიონერებო, მოეწყობ საზუჯე! — გაისმა იმ დღეს ინგლისურ ენაზე.

პიონერები საზუჯე მოეწყვნენ.

დღევანდელ რაზმი: დღეს მათი შეკრება უჩვეულო იყო — შეკრება ინგლისურ ენაზე მოეწყო. დღეს ამოწმებდა მე-4 კლასის თავის თავს, თუ რამდენად დაეუფლნენ უცხო ენას. შეკრებას ერქვა „სალხთა შორის მშვიდობა და მეგობრობა“. პიონერებს ბუხენვალდის ყოფილი ტყვეები ეწვივნენ. ისხდნენ და უსმენდნენ პატარებს, რომელთაც არასოდეს ჯაუგონათ ომის მრისხანე ხმა. „და არც უნდა გავიგონოთ!“ — ერთხმად ამბობდნენ პიონერები.

„დღემ, მამამ და ბაბუამ მიამბეს ომის შესახებ. რა საშინელი წლები იყო თურმე! ჩემი დედა პატარა გოგონა ყოფილა მაშინ. მაგრამ კარგად ახსოვს ყველაფერი. და აი, დედას არ უნდა, რომ მეც იგივე განვიცადო“, — თქვა წითელყელსანვევიანმა ბიჭმა. იგივე გაიმეორეს ნანა მანაგაძემ, თენგიზ სვანიძემ და მარინე საყვარელიძემ, როცა ბუხენვალდის ტყვეებს მიესალმნენ. მოვიდნენ სულ პატარებიც. მათ პიონერის საზეიმო დაპირება ინგლისურად თქვეს. აი, ციცქნა ნანა ბოჭორიშვილი. იგი პიონერთა რიგებში სწორედ იმ დღეს მიიღეს, როცა მშვიდობასა და მეგობრობაზე ჩატარდა შეკრება. მან თავისი წკრიალა ხმა შეუერთა ახალ მეგობრებს:

„დაე მუდამ იყოს ზეცა.
დაე მუდამ იყოს მზე.
დაე მუდამ იყოს დედა.
დაე მუდამ ვიყო მე!“





მერვერაზმელები დაზიანებულ წიგნების აღდგენაში შევლიან 23-ე ბიბლიოთეკის თანამშრომლებს.

**წერილი მოვა
აუცილებლად**

როდესაც გაკვეთილები მთავრდება, ისინი ჯგუფად მიჰყვებიან შიო ჩიტაძის დაღმართს.

— აი, ნახეთ თუ არ მივიღოთ პასუხი.

— არა ბიჭო, სად ცალია ახლა ჩვენთვის. ყოველწამს კოსმოსში ახალ გაფრენაზე ფიქრობს. არა და, ფოსტალიონიც დაიღალა, ალბათ, მასთან წერილების ზიდვით.


რგოლის ხელმძღვანელს, ზურიკო ხაჭაპურიძეს სახე წამოენტო.

— არა, წერილი აუცილებლად მოვა! — თქვა ირინე თევდორაძემ, და წარმოიდგინა, რა სიხარული შეუდგებათ რაზმელებს, როცა მოვა სანატრელი ბარათი. ბარათს უბრალოდ ეწერება ქვევით: მოსკოვი. ვალენტინა ტერეშკოვა. აკი მე-8 რაზმელებმაც ასე უბრალოდ წააწერეს კონვერტს: მოსკოვი. ვალენტინა ტერეშკოვას. რა საჭიროა, ზუსტად იცოდე მისამართი ქა-

ლისა, რომელსაც მთელი სამყარო იცნობს. წერილში ეწერ „ძვირფასო დეიდა ვალენტინა! ჩვენ, თბილისის 47-ე სკოლა მე-8 რაზმელებს ძალიან გვიყვარხართ. ჩვენც ვოცნებობთქვენსავით კოსმოსის დაპყრობაზე. ჯერ კი პატარები ვართ, მეოთხე მეორე კლასში ვსწავლობთ. ჩვენი რაზმი ჩამოვლია პიონერული რაზმების საკავშირო შეჯიბრში. ჩვენს რაზმმა შეჯიბრების შვიდივე პუნქტის მიხედვით ყველა საკითხი შეასრულა. აი, გამარჯვებული რაზმის სახელიც მივღეთ. გამარჯვებას სხვა სიხარულიც დაერთო — რაზმს ვალენტინა ტერეშკოვას სახელი ვუწოდეთ. ძვირფასო ვალენტინა ველით თქვენგან პასუხს!

მე-8 რაზმის პიონერები“.

ჰოდა, მოვა პასუხი, აუცილებლად მოვა!



თავჩადუნულები ზიანბიბეები. გოგონები კი გულდახდობად დაპარაკობენ — როგორ შეიძლება დახვეწებაზე ჭიდაობა ან ეს რახა ჰგავს, ბაფთებს რომ გვაძრობთ?!

„კილაპარაკობ გულახდილად“

მე-ნ რაზმი იმ დღეს ჩვეულებრივად იჯდა კლასში. კლასის ხელმძღვანელმა ვერა ალანია ერთხელ კიდევ გაახსენა რაზმს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სიმართლის თქმას. გიყვარდეთ სიმართლე. „მოყვარეს პირში უძრახეთ“ — ერთხელ კიდევ გაუმეორა ხალხური სიბრძნე. გაუმეორა და დაჯდა.

დაფიქრდნენ პიონერები. გულახდილად ბევრი რამაა სათქმელი. ამიტომაც დაარქვეს შეკრებას: „ვილაპარაკოთ გულახდილად“. შეიძლება უცნომ გაიცინოს კიდევ: „დიდი ამბავი, კლასში თურმე ბიჭები გოგონებს აწვალებენ — ნაწნავებზე ბაბთებს აგლეჯენ“. თქვენ გგონიათ ეს არაფერია? სულაც არ ფიქრობენ ასე მე-5 კლასელი გოგონები. მათ გული წყდებათ, რომ მეგობრობის მაგივრად ბუტიაობა იწყება. ბევრჯერ ცრემლიც დაღვრილა. და ახლა ბიჭები თავჩაღუნულები სხედან. გოგონები კი გულახდილად ლაპარაკობენ. ბიჭების გვარები გნებავთ? — ვფიქრობთ, არაა საჭირო ამის თქმა. დაფიქრდნენ ბიჭები ამ შეკრებაზე... და, ალბათ, აღარასოდეს ატყენენ გულს გოგონებს.

რაზმი ახლა უდისციპლინო მოსწავლეებს მიუბრუნდა: აბა, როგორ შეიძლება დასვენებაზე ჭიდაობა, მთლად დააგლიჯეს ერთმანეთს ტანსაცმელი! ახლა რა ბრაგუნს ატყებენ ხოლმე!

ის გოგონა კი, მუდამ წყნარად რომ ზის კლასში, და კარგადაც სწავლობს, მაინც რალაცაშია დამნაშავე. მასზეც უნდა ილაპარაკონ მეგობრებმა გულახდილად. გოგონას გაკვირვებისაგან თვალები გაუფართოვდა! მასზე უნდა იმსჯელონ?! კი, მაგრამ, რა დააშავა?

და რაც დააშავა, მალე გაიგო. თავი ჩაკიდა. მართლა: მას ეთაკილება ჩამორჩენილ თანაკლასელებთან მეგობრობა. არ სცალია მათთვის, რა ქნას, ენას სწავლობს, მუსიკაზე დადის... და მაინც, მეგობრისაგან გვერდზე გადგომა დანაშაულია. „შემდეგში ეს აღარ განმეორდება“, — შერცხვენილი ამბობს გოგონა.

შავთმიანმა ბიჭმა კი თავიდანვე იცოდა, რასაც უსაყვედურებდნენ მეგობრები. კლასში მისი მორიგეობის დროს უსუფთაობა იყო. დაფა მასწავლებელს გაკრიალებული არ დახვდა, ცარციც არ იყო ადგილზე. აი, ამისთვისაც შეიძლება გაკიცხონ მეგობრებმა და ნუ ითაკილებს. გახსოვდეს, პიონერს სიმართლე უყვარს. ტყუილად ხომ არ ერქვა შეკრებას „ვილაპარაკოთ გულახდილად!“

ჩვენი მიკრორაიონი

ჩვენი მიკრორაიონი არც ისე პატარაა. დიახ, აქ შედის 23-ე ბიბლიოთეკა, მე-14 საბავშვო ბაღი, ბავშვთა ფიზკულტურული დისპანსერი, და ყველგან საჭიროა პიონერის ხელი. ერთი შეხედვით, ამ საქმეში არაფერი სიახლე არაა. ასე მოდის თავიდან: საბავშვო ბაღის აღმზრდელებს ეწვევიან ხოლმე პიონერები, უწყობენ კონცერტებს, ასწავლიან თამაშობებს.

არც ისაა პიონერულ საქმიანობაში ახალი, რომ ბიბლიოთეკარს დაეხმარო დაზიანებული წიგნის აღდგენაში, დაეხმარო ფიზკულტურული დისპანსერის ბავშვებს გაკვეთილების მომზადებაში. დიახ, აქ თითქოს არაფერია ახალი. მაგრამ გვაიწყდება ერთი რამ: ეს საქმე ყოველი მომდევნო პიონერული თათბისათვის ახალია, საინტერესო. საქმე ისაა, გულიანად მოეკიდო, იგრძნო დიდი პასუხისმგებლობა, შეიყვარო ეს საქმე. ასე ფიქრობენ 47-ე სკოლის პიონერები. და მთელი მიკრორაიონში იგრძნობა მათი გამრჯე პიონერული ხელი.

ნაზი კილასონი



არაბული თქმა: ნურასოდეს ნუ შეგრცხვება იკითხო იმის შესახებ, რაც არ იცი.

ბოროტი: ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს სწყვეტს გონება, — სწორედ ეგაა ის ბერკეტი, რომელიც დროთა განმავლობაში გადაატრიალებს სამყაროს.

ლენინი: გუშინდელი დღის შეცდომების ანალიზით ჩვენ ვსწავლობთ შეცდომების თავიდან აცილებას დღეს და ხვალ.

სოფოკლე: თავის თავზე დიდი წარმოდგენა — მოკლე ჭკუის ერთ-ერთი ნიშანია.

პისარევი: უნდა სკოლაში სწავლა, მაგრამ გაცილებით მეტი სწავლა უნდა სკოლიდან გამოსვლის შემდეგ.

ქართული ანდაზა: თუ შინ არავინ გყავს, კედელს მაინც შეეკითხე.

პილონი: ნუ დაუშვებ რომ შენმა ენამ გაუსწროს შენს ჭკუას.

შეძსკირი: ვისიმე ღირსება რომ დააფასო, რამდენადმე თვითონაც უნდა გქონდეს ღირსება.

ჟოლოხოვი: მთელი სულით და გულით გიყვარდეთ წიგნი. იგი არა მარტო თქვენი მეგობარია, არამედ ბოლომდე ერთგული თანამგზავრიცაა.

ა. წარკეთელი: კარგი მთქმელი ის არის, ვინც თავის ნათქვამს სხვას შეამგნს.

მოკლე გზები

ნიმუ ბუნარაშვილი

ნახატები ოტარ ჩხარტიშვილისა

სალამო ხანი იყო. ჭიტა პაპა თავისი პატარა სახლის წინ კუნძუზე იჯდა. იგი ვენახიდან დაღლილი მოვიდა და ისვენებდა. მისი ცოლი, ბაბაღე, იქვე, საჩხუში ფუსფუსებდა. ამ დროს ღობისიქიდან ლაპარაკის ხმა მოისმა. ჭიტა პაპა არც განძრეულა, ბაბაღე კი მაშინვე ჭიშკართან მიიჭრა.

— სად ეფოფები, სად! ხომ ხედავ, არაფერი აღარ არის! ეს ბალიც ხომ გაჭიწეთ, რაღა გინდათ?

— ბალი არ გვინდა, ბებია ბაბაღე, აგერ იმ ფიცარს თუ...

— ხილი არ შემარჩინეთ, გაანიავეთ აქაურობა და ახლა ფიცარი მოგინდათ? — კაპასობდა ბაბაღე. — კიდეც კარგი, რომ ეგ ფიცარი ხილი არ არის, თორემ ხომ გააქრობდით აქამდე.

— ხილის გასაკეთებლად გვინდა, ბებია ბაბაღე, თქვენთვისაც კარგია, ვენახში მოკლეზე გადახვალთ, — შეპარავით უთხრა ბიჭუნამ.

— გიცნობთ, რა ვუკაცებიც ბრძანდებით! ხილის გამკეთებლები რომ იყოთ, ღობე-ღობე არ იძრომელაობდით. მსხალში თვალი შევიდა და იმისი მუცლის ტკივილი გაქვთ, მაგრამ ვერ მოგართმევთ! — ბაბაღემ გაბრაზებით მიაჯახუნა ჭიშკარი და ჭიტა პაპასკენ წავიდა. ეტყობოდა, ჯერ გული მთლად არ მოეფხანა და ახლა იმახთან უნდოდა ეჩხუბნა.

— რატო არ ეტყვი რამეს ი ბიჭებს? ჯერ იყო და, ამოდენა ხილისაგან გაგვცალეს, ახლა კიდეც ფიცარი მოუნდათ!

ბაბაღემ სახლის კედელზე მიყუდებულ ძველისძველ მუხის სქელ ფიცარს გახედა.

ჭიტამ კარგად იცოდა ბაბაღეს წუწურაჟი ხასიათი, — ერთი ჭიანი ტყემლისათვის ამაზე უარეს ამბავს აუტყებდა ხოლმე უბნის ბიჭებს, მაგრამ ფიცარი რა შუაში იყო — ეს კი ვერ გაეგო.

ღობიდან მამლაყინწებივით კისერწაგრძელებული ბიჭები იყურებოდნენ.

— რომლები ხართ, კაცო, მოდით, მითხარით, რა გინდათ! — გასძახა ბიჭებს ჭიტა პაპამ და ისინიც სირბილით მოაწყდნენ ჭიშკარს, შეაღეს და პირდაპირ ჭიტასკენ გაქანდნენ.

— პაპა, დავგვხმარე, ხილი გვინდა გავაკეთოთ!

— ხილი? სად, ალაზანზე? — გაცინა ბიჭების სიტყვაზე ჭიტას.

— ალაზანზე კი არა, ჩვენს სოფელში, დელეზე. სკოლაში მოკლე გზით ვივლით! — უთხრა ანზორმა.

— რომელ დელეზე, ბიჭო?

— აი, ჩვენს სკოლას რომ ჩაუდის. დიდ წვიმებზე ჩიხრამა და გაღმელი გოგო-ბიჭები იქით ვეღარ გადიან. სოფლიდან შარაზე ადიან, მერე იქიდან ქვევით უხვევენ და სკოლისაკენ გზა უგრძელდებოდა, — თქვა არჩილმა, იგი ჭიტა პაპას კარის მეზობელი იყო და ამიტომ ყველაზე უფრო თამამად ლაპარაკობდა.

ჭიტამ ჯერ კიდეც არ იცოდა, რასა სთხოვდნენ ბიჭები და გაცეცხულმა უთხრა:

— შევილო, რა დახმარება შემიძლია, რომელი ინჯილერი მე მნახეთ, ჰა?

— თქვენი სახლის კედელზე რომ მუხის სქელი ფიცარია მიყუდებული, ის მოგვეცი, ჩვენ სხვა არა გვინდა რა! — თქვა აქამდე გაჩუმებულმა მესამე ბიჭმა და თვალი აღარ მოაშორა ჭიტას, — ელოდებოდა რას იტყოდა.

— მაშ ფიცარი გინდათ, ჰა? კარგია, გამოგადგებათ. განიერიც არის, გრძელიც. თანაც მაგარი. ჩემს ჭეცხობაში გავთაღე საწნახლისათვის, მაგრამ აღარ დამჭირვებია. სიმართლე გითხრაო, არც ახლა მჭირდება. წაიღეთ!

— იმ თავიდან, ამ თავამდე, ბედოვლათი ხარ, ხალათს გაიხდი და

სხვას მისცემ, თვითონ კი დედიშობილა ივლი — პირში ეცა ჭიტას გაკაპასებული ბაბაღე. — შენ რაც გინდა ისა თქვი, თავცოცხალი ამ ფიცარს არავის არ გავატან! რომ აძლევ, რას აძლევ, ამოდენა ჭანჭური რაღაზე უნდა გავახმოთ, კაცო! — ბაბაღემ მზეზე გარუჯული, გამხდარი ხელები მკვახე ჭანჭურებისაკენ გაიშვირა.

ბაბაღეს სიტყვამ, ცოტა არ იყოს, დააფიქრა ჭიტა. ფიცარს გოდრებზე გადებდნენ ხოლმე და ზედ გათუთქულ ჭანჭურს ახმობდნენ.

ბიჭები ჭიტა პაპას შეშურებდნენ, — ნეტა რას იტყვისო. მოხუცი კი დუმდა. ფიქრობდა, რა ეღონა, არც ბაბაღეს წყენა უნდოდა და არც ბიჭების.

კარგა ხანს ელოდნენ ბიჭები და ბოლოს ჩურჩული დაიწყეს. ანზორმა არჩილს რაღაცა უთხრა. არჩილმა მესამე ბიჭს გადაურჩილა. ეჭვი არ იყო, ბიჭებმა რაღაც მოილაპარაკეს, ერთმანეთს გადედეს და ჭიშკრისაკენ წავიდნენ.

ბიჭების წასვლამ ბაბაღე დაამშვიცა. ჭიტა პაპა ჩაფიქრდა, თითქოს შერცხვა კიდეც, რომ დედაკაცის ჭკუაზე გაიარა და თავისი სიტყვა ვერ გაიტანა. ფეხზე წამოდგა, ბიჭებს გასძახა. უნდოდა ისევ მოებრუნებინა, მაგრამ მის ძახილს არავინ არ გამოხმავებია.

* * *

გავიდა თითქმის ერთი კვირა. სალამო იყო. ჭიტა პაპა ისევ კუნძუზე იჯდა და პატარა წაღლით ბარის ტარს თლიდა. ჭიშკართან ბიჭები აფუსფუსდნენ. მოხუცმა იქით გაიხედა.

— გაიწი, ბიჭო, გაიწი, ქვემოდან მოუარე!

— დააყირავე, დააყირავე, ჰო, აი, ასე!

ხმაურზე ბაღიდან ბაბაღე გამო-



ვიდა. თავსაფარი შუბლს ზემოთ გა-
ლაიწია და იმანაც ღობის იქით გაი-
ხედა. ამასობაში ჭიშკარიც გაიღო და
ბიჭებმა ორი ვეება ლასტი გაჭირვე-
ბით შემოათრიეს ეზოში. ისევ ის
ბიჭები იყვნენ, ამას წინათ რომ მო-
ვიდნენ ქიტა პაპასთან. მაშინ ჯამნი
იყვნენ, ახლა მეოთხეც მოჰყვათ.

— ბებია ბაბაღე! — დაიძახა შე-
მოსვლისთანავე არჩილმა, — ლას-
ტები დაგიწანით. ფიცარზე ხეირია-
ნად ვერც კი გახმება ჭანჭური. თა-
ნაც ფიცარი მძიმეა და, წვიმა რომ
მოვიდეს, ვერ შეიტან საჩხეში, და-
გისველდება ჭანჭური. ლასტებს კი,
თუ მოინდომებ, ნეკითაც ასწევ!

ბაბაღეს ლასტების დანახვაზე ღი-
მილი ჩაუდგა თვალეზში. რაც ქიტას
ჭეღობაში დაწნული ლასტი დაფუ-
ტუროვდა და დაიმტვრა, მას შემდეგ
სულ იხვეწებოდა, — დაწანო, მაგრამ
ვერ იქნა და ვერ შეუსრულა სურ-
ვილი ქიტამ.

— ახლა რა, ამ ლასტებში ფიცარი
გინდათ წაიღოთ? — ღიმილით ჰკით-
ხა ბიჭებს ქიტამ.

— ფიცარი, ფიცარი გვინდა! —
აუიფვიდნენ ბიჭები.

— წაიღეთ, შვილო, წაიღეთ! ლას-
ტიც რომ არ მოგეტანათ, ისეც მოგ-
ცემდით, — უთხრა ქიტამ ბიჭებს და
მერე ლასტებს დააკვირდა. მშვენი-
ვრად იყო დაწნული. ალბათ, ეს ერთი
კვირა რომ არ ჩანდნენ, ამაზე მუშა-
ობდნენ.

— წაიღეთ, ბიჭებო, წაიღეთ! —
უთხრა მათ გულმომბაღმა ბაბა-
ღემაც.

ბიჭებს მეტის თქმა აღარც უნდო-
დათ, მაშინვე ფიცრისაკენ გაქანდ-
ნენ. ორმა წინიდან ასწია, ორმაც —
უკანიდან და ფიცარი წაიღეს. პაპა
გზამდე გაჰყვა ბიჭებს და, სანამ
თვალს მიეფარებოდნენ, ღიმილით
გასცქეროდა მათ. ბაბაღეს არ დაუ-
ნახავს, როგორ გაიტანეს ბიჭებმა
ფიცარი. ის ახლა ლასტებს დაჰყუ-
რებდა და, ალბათ ანგარიშობდა კი-
დეც, თითო ლასტზე რამდენი გათუ-
თქული ჭანჭური დაეტივაო.

* * *

დამთავრდა რთველი. მიიწურა
შემოდგომა. სოფელი მიუჩიდა. ბა-
ვშეების ურიაშულიც მინელდა.
ერთ ღღეს, ბაბაღემ უთხრა ქიტას:
— წამოდი, კაცო, ვენახში წავი-
დეთ, მოვიგონგორავოთ; სხვა თუ

არაფერი იქნება, პამილორს შინაც
ესხმება მკვანედ დარჩენილი, მოვი-
ტანოთ და მწნილად ჩავდეთ.

ჭკუაში დაუჭდა ქიტას დედაკაცის
სიტყვა. ვენახის ახლოს პატარა ად-
გილი ჰქონდა, პამილორი, გოგრა და
ნავვიანევი სიმინდი ეთესათ. მარტო





მკვანე პამიდორი კი არა, სამწინლე გოგრები და სიმინდის ღინკლებიც ბლომად იქნებოდა. დათანხმდა ბაბა-ლეს და თავის ბებერ სახედარს შე-კაშმვა დაუწყო. კეხი დაადგა, ზედ ძველი ხურჭინი გადაჭიდა, კისერზე თოკი გამოაბა, ჩაავლო ხელი და ბაბაღესთან ერთად გზას გაუდგა-მიდიოდნენ ნელი, ბებრული ნაბიჯით და თავიანთ ქალაქელ შვილიშვილებ-ზე საუბრობდნენ. სოფლის ორლო-ბიდან შარაზე გავიდნენ. უცბად, ვი-ლაც პატარა ბიჭი ქაქანით წამოეწია მოხუცებს. ქიტა დააკვირდა, იცნო, — ანზორი იყო, მასთან ფიცრისათვის რომ მივიდა.

— პაპა, აქეთ რად მიდიხართ? — ძლივს ამოთქვა სირბილით გულა-მოვარდნილმა ბიჭმა.

— რატო, შვილო, მე სულ აქეთ დავდივარ და ჭერ არავის დაუშლია?!

— არა, პაპა, დაშლით ვინ უნდა დაგიშლოს, მაგრამ იქიდან უფრო ახლოა თქვენი ვენახი, — თქვა ან-ზორმა და თითი ბილიკისაკენ გაიშ-ვირა.

— მაინთ წინათ დავდიოდით ხო-ლმე. წყალდიდობისას ღელისპირი ჩაიხვრა და აღარ წავსულვართ, — თქვა ბაბაღემ და წახვლა დააპირა.

— ახლა შეიძლება იქით გავლა. თუ გინდათ, წამოდით და ნახეთ! — აღარ მოეშვა მოხუცებს ბიჭი.

ქიტას ეჭვი შეეპარა ბიჭის სიმა-რთლეში, მაგრამ ვირი მაინც მოაბ-რუნა და შარის ქვემოთ მიმავალ ბი-ლიკს გაჰყვა. არც ბაბაღეს სჯეროდა ბიჭისა, მაგრამ რაკი ქიტა წავიდა, ისიც მიბრუნდა და უკან გაჰყვა. ჩაი-არეს ბილიკი, გასცდნენ ჯაგებს და გაშლილ მინდორზე გავიდნენ. ბიჭ-წინ მიუძღოდათ, თითს იშვერდა და რაღაცას უჩვენებდა მოხუცებს. მათ წინ დიდი, ახალი სკოლის შენობა იყო. იმის ქვევით, ალაონის ველზე, დაბალი და გრძელი თეთრი სახლები მოჩანდა. სხვას ვერაფერს ვერ ხედა-

ვდნენ. ბიჭმა ღელესთან მიიყვანა მოხუცები. ქიტა პაპამ ჭერ მაღლობ-ზე, შარაგზის ქვეშ დატანებულ ბო-გირს ახედა, მერე თვალი ჩამოაყოლა ღელეს და, მოხუცს სახეზე ღიმილმა გადაურბინა. ღელეში ამოშენებულ ქვიტკირის ბურჯებზე მუხის განი-ერი ფიცარი იყო გადებული. ფიც-რისათვის მშვენიერი მოაჭირი გაე-კეთებინათ და მწვანედ შეედებათ. საღებავი ხუთპირად მაინც წაესვათ და ფიცარს თავისი ფერი აღარ ეტ-ყობოდა, მაგრამ ქიტამ მაინც იცნო თავისი გათლილი მუხის სქელი ფი-ცარი. მერე ბიჭების ნათქვამი გაიხ-სენა, — „ხიდი უნდა გავაკეთოთო“, და გაიცინა.

— მობრძანდით, პაპა, მობრძან-დით, ჩვენი გაკეთებულია, გამძლეა და მაგარი — უყუინებდნენ აქეთ-იქიდან ქიტას ხიდთან დახვედრილი ბიჭები.

ბაბაღემ ფეხი შედგა ხიდზე, მაგ-რამ ისევ უკან დაიხია, — ვერ გაბე-და გავლა.

— ნუ გეშინიათ, ბებო, გაიარეთ, მაგარია, არ ჩატყდება! — ამხნევე-ბდნენ პატარები და ამ დროს სკო-ლის ზარიც დაირეკა. ბიჭებმა მო-კურცხლეს. ქიტა, ბაბაღე და მათი ბებერი სახედარი იქვე დარჩნენ-უყურებდა ქიტა ხიდს, უსმენდა ხი-დის ქვეშ მორაკრაკე წყალს და უხა-როდა, რომ გაღმასოფლელ პატარა გოგო-ბიჭებს შორი გზის მოვლა აღარ სჭირდებათ, — ხელად გაღმო-ირბენენ ხიდს და პირდაპირ სკოლის კარებში შეჰყოფენ თავს.

— გაიხარეთ, გაიხარეთ, ბიჭებო! — ხმამაღლა წამოიძახა ქიტამ და ხიდზე შედგა. ბაბაღეც თან მიჰყვა. ისევ ნელი, ბებრული ნაბიჯით მიდიოდ-ნენ. სახედარი კი მიაბაკუნებდა. ხიდს რომ გასცდნენ, ბაბაღემ ვენა-ხისაკენ მიმავალ ბილიკს გახედა, მერე ქიტას შეხედა და გაუცინა, — ისევ მოკლე გზით მივდივართო.

ყველა რელიოკვანძი,
ყველა რელიოტადლა,
ერთი საერთო აზრით
მომართეთ ახლა!

და ორად-ორი სიტყვა,
სულ ერთი ტაღის ზომით,
დააგუგუშნეთ ყვედგან:
„ძირს ომი!“

დასავლეთ აფხაზეთის მთიან მხა-რეში, ტყეებით დაბურულ მთებს შორის მოქცეულია სილამაზით გან-თქმული ტბა, დიდი რიწა. „მარად-მწვანე ყდაში ჩასმული ეს მაღალი მთის ტბა ისე უძრავად გადაშლილა, გეგონებათ ვილაც უხილავი გოლია-თის მარჯვენას ზურმუხტისფერი სი-თხით სავსე უზარმაზარი აზარფეშა უჭირავსო“, — წერს ე. მარკოვი თა-ვის წიგნში „მონადირის მოგონება-ნი“.

საინტერესოა როგორ აივსო ეს „აზარფეშა“?

მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ დაახლოებით ორასი წლის წინათ აქ ჩამოქცეულა ავადხარის მთის დიდი ნაწილი. ზვავს ამოუვსია მდინარე ლპშიპსეს ღრმა ხეობა და ამ მდინა-რის შეგუბებით წარმოშობილა თვალწარმტაცი რიწის ტბა.

რიწის ტბა მოქცეულია კირქვის კლდეებში. კლდეების ძირას ანკარა ცივი წყაროები ამოდიან და ტბაში ჩადიან. ტბა ზღვის დონიდან 956 მე-ტრზე მდებარეობს. ტბაში ბლომად არის კალმანი და ორაგული.

მის ანკარა სარკეში მუდამ მო-ჩანს ირგვლივ აღმართული, წიწვიან-ი და ფოთლოვანი ტყეებით დაფა-



ძირს იმი!

მიაწყდით დიდ მოედნებს,
აზიმზიმებულ ბაზრებს,
იჩქარეთ პორტებისკენ
და მიაშურეთ ვაგზებს.

შეამჭიდროვეთ, ხაღხნო,
ყველა აზრი და ძაღა.
წყაღბადის ბომბმა არსად
არ დაიჭექოს, არა.

მეცნიერებო ვენის,
ღაიპციგის და ბონის,
ბრძენებო კემბრიჯისა
და სორბონის,—

წინ გაუძენით ხაღხთა
უკეთეს ფიქრს და სურვილს,
შეშლიდთა მუხთად ზრახვებს
ნუ, ნუ აპყვებით ნურვინ.

თორემ ვერც ბომბსაფარი
და ველარც კატაკომბები,
ველარ გვიხსნიან, თუ უცებ
იფეთქებს ატომ-ბომბები.

დაე, მშვიდობის აღამს
მზე აშუქებდეს მარად,
არ დაიშხამოს წმინდა
ჰაერი მთად და ბარად!

მიწა არ იქცეს ნაცრად,
ბავშვს ნუ ვუშფოთებთ ძიღს,—
ძირს იმი!
ძირს!
ძირს!

რული ლამაზი მთები. ხოლო უფრო
შორიდან ამაყად დასცქერიან ტბას
კავკასიონის ქედის მარად თოვლიან
ნი მწვერვალები.

რიწის ტბა პატარაა. მისი ფარ-
თობი 2 კვადრატული კილომეტრია.
მიუხედავად მცირე ფართობისა,
ტბა საკმაოდ ღრმაა. მისი საშუალო
სიღრმე 35-45 მეტრს უდრის, ხოლო
უღრმესი ადგილი 116 მეტრამდე აღ-
წევს, იგი ყველაზე ღრმა ტბაა სა-
ქართველოში.

რიწის ტბის ფსკერიდან გამოე-
დინება მდინარე იუფშარა, რომე-
ლიც კარსტულ გვირაბში იკარგება
და 4 კილომეტრის მანძილზე მიწის
ქვეშ მიედინება.

რიწის ტბა ზაფხულობით მრავალ
ტურისტს იზიდავს. ტბის სა-
ნაპიროზე აშენებულია ლამაზი სას-
ტუმრო, ტბის ზედაპირზე კი უამრავი
მოტორიანი ნავი დაცურავს.

დიდი რიწის ჩრდილო დასავლეთით,
ზღვის დონიდან 1242 მეტრზე
მდებარეობს ტბა, პატარა რიწა. მისი
ფართობი 30 ჰექტარს აღწევს, სიღ-
რმე კი 80 მეტრს. იგი გამჭვირვალე,
ღია ცისფერია, მეტად ლამაზია, მაგ-
რამ მისადგომად ძნელია.


აფხაზეთშივე არის ტბა, რომე-
ლიც თავისი წარსულით რიწას ვაგს.
1891 წელს მდინარე ამტყელის შუა-
წელში ჩამოწვა დიდი ზვავი, რომე-
მელმაც გზა შეუკრა წყალს, მდინარე
დაგუბდა და წარმოიშვა ლამაზი
ტბა, ამტყელი.

სოფელ ამტყელის მცხოვრებ-
ლებს უფიქრიათ, მდინარე ნაზვავს
გაარღვევს, სოფელს წალეკავსო და
ამიტომ მათ სადღეღამისო მორიგეობა
დაუწესებიათ. ტბის წყალმა თვი-
თონ გაიკაფა გზა მიწის ქვეშ. თოვ-
ლის დნობისა და წვიმების დროს
მდინარე ამტყელი დიდდება. ამ
დროს ტბის ზედაპირის დონე 40-50
მეტრით მაღლა იწევს.

ამტყელის ტბის მიწისქვეშეთი-
დან გამოსული წყალი რამდენიმე
კილომეტრზე მიედინება ღრმა კირ-
ქვიან ხეობაში და შემდეგ შთაინთქ-
მება ხეობაშივე მდებარე ძაბრისე-
ბურ სასულეში. ამტყელის წყალი
შემდეგ მიწის ზედაპირზე გამოდის
მდინარე ჯამპალის შესართავთან
მდებარე ორი მღვიმიდან, რომლე-
ბიც ერთმანეთისაგან თხელი კედ-
ლით არიან გამოყოფილნი.

თვალწარმტაცია ამტყელის ხეო-
ბა და მასში მოქცეული ტბა ამტყე-
ლიც. გათვალისწინებულია პატარა
რიწისა და ამტყელის ტბების შემო-
გარეთა კეთილმოწყობა, რაც კიდევ
უფრო საინტერესოს გახდის მათ.

შ. გოგაბიშვილი



სქოდასკრი ტბები

რაც მართალია, - მართალია

მოღის პოეტი შარავაზე ტანახოვანი:

— ბაოლო—

პოეტს ეგებება მთელი არგვეთი,
ეგებებიან, ხალხის გარდა, ხენი აგრეთვე;
განთავიდა ასეთივე დაახლოებით.

ღვათეება სულობს, თუ გათავდა სიტყვის მადანია...

ლეკსი ქორია!

გული ქორეთი!

რაც მართალია, — მართალია, —

აი, მართალი!

რაც მართალია, — მართალია, —

აი, პოეტი!

შუხარ მაჭავარიანი

შენიუხუნი ქოხი

ქ

ქოხი

იმ ქოხაზე, სადაც ჩემმა მშობლებ-
ლებმა ბაბუიდან ქუთაისში გადა-
სვლისას ბინა დაიქირავეს, არაერ-
თხელ შეხებდარიერ მაღალ, ღამა-
ზი სახის გინაზიელს, რომელსაც
ყოველთვის კარავდა ეცვა და განი-
რი ნახუთი სიარული უყვარდა. ის
ჩემს ახლო ცხოვრობდა, თითქმის

მეზობლად, ორსართულიან დიდ
სახლში.

არ ვიცი რატომ, ეს გინაზიელი
ჩემს განსაკუთრებულ ურადღებს
იქცედა და მრავალი გამოქრეო-
და. მაღელ, შემთხვევაც მომეცა გა-
ცნობადი: თუკრის წინ მე და ტი-
ციან ტახიძე ვიდექით და მოულოდ-

ნელად ისიც მოვიდა ჩვენთან. მაშინ
გაიგე პირველად, რომ გვარად ია-
შვილი იყო. ის და ტყციანი, თერ-
გი, ერთ კლასში იყვნენ და კიდევ
მეგობრობდნენ.

რამდენიმე თვის შემდეგ იაშვილი
გაუჩინარდა ქალაქიდან, ადარსად
მინახავს. როგორც მეტი გავიგე, ის
გაუჩინებოთ გინაზიიდან ქართული
ხალხის რადიერად მომხსენებლის,
ვიდაც შარავაზელი მასწავლებლის
წინააღმდეგ საპროტესტო გამოსვლა-
ში აქტიური მონაწილეობისათვის, და
ქ. ანაპაში გადასულა სწავლის გა-
საგრძელებლად. ვეღარ გვუდავდი და
მეც დავიწყებას მივეცი... რას ვიფი-
ქრებდი მაშინ, რომ სულ მაღელ და-
ვუბლოვდებოდი, მაღელ ჩემი ცხოვ-
რება მასთან დაკავშირებული იქნე-
ბოდა და, რაც მთავარია, ეს შავ-
გვრემანი, ვაგაკერო შესახულობის
ახალგაზრდა ჩვენი, იმ დროის დამ-
წყები მწერლების ჯგუფის სრულის-
ჩამდგმელი და მეთაური გახდებოდა!

იმ ირი წლის მანძილზე, როცა
ბაბუი იაშვილი ანაპაში იყო, ტი-
ციანისა და ჩემს ცხოვრებაში ჩვენ-
თვის ღირსშესანიშნავი ამბავი მოხ-
და: ჯერ კიდევ მოწყალებმა, ვახუ-
თებში გამოვაცქვეთ ჩვენი ნაწერე-
ბი, და უეცრად, თითქოს როგორც
ვადმიბახილი, ანაპაში მყოფ თავის
მეგობრისაგან ტყციანმა მიიღო იქა-
ური რუსული გაზეთი, სადაც ბაი
ლოს ლექსები იყო დაბეჭდილი.

ბაბოის ისე შევხვედი ქუთაისში
ირი წლის შემდეგ, საშუალო სსს-
წავლებელი დარუბელი გვიჩინდა
და უმადლესი უნდა წესსულიყოფით
სწავლის გასაგრძელებლად. ბაბუი
ხატით იყო გატაცებული, თავის
ნაბეჭდულ მოწოდებად მაშინ მხატ-

ვრობა მიანდა, ამიტომ უარი თქვა
უნივერსიტეტზე და გადაწყვიტა პა-
რიზში წასვლა იმ მიზნით, რომ იქ
ღერწევაში დაისტატებოდა.

მაგრამ, როგორც ჩანს, მწერლო-
ბისაღმის მისი ინტერესი არ განუღ-
ბულიყო და საფრანგეთში გაბეზა-

რებამდ მან საყუარო მხატვრული
ერწინალი დაარსა, სახელწოდებით
„ოქრის ვერტი“. ამ ერწინალის უახ-
ლოესი თანამშრომლები იყვნენ ლეო
ტიკაშელი, ალექსანდრე ახაშვილი, გა-
ლაქტიონ ტახიძე, ტყციან ტახიძე,
სანდრო მანშაშვილი, შალვა დავი-
ანი და სხვები. რამდენიმე მინიბტუ-
რამეც და უფროსი თაობის სხვა
მწერლებიც, მაგრამ რამდენიმე ნი-
შის გამოშვების შემდეგ მელის
ცნობურად „ოქრის ვერტი“ აკრძალა



ერწინალი
გამალოთქვა

კ
ა
დ
ე
რ
70

ი
კ
უ
ი
დ
ი



პაოლო იაშვილის
ჩანახატები



ავტომორტრეტი



ციციან ტაბიძე



ვალერიან გაფრინდაშვილი



კოლაუ ნადირაძე

და მალე პაოლოც საფრანგეთში გაემგზავრა.

თითქოს ისევ შეწყდა კავშირი პაოლო იაშვილთან. ალბათ კიდევ დიდხანს ვერ ენახავდით მას, მაგრამ მალე პირველი მსოფლიო ომი დაიწყო და პაოლო იძულებული გახდა სამშობლოში დაბრუნებულიყო.

ჩამოვიდა თუ არა, უმალვე ჩაება ლიტერატურულ მუშაობაში. ამიერიდან ის აღარ ზრუნავდა მხატვრის კარიერაზე, მისი ერთადერთი ფიქრი მხატვრული სიტყვა იყო. ევროპიდან ის დაბრუნდა დავაჟკაცებული, ბევრის მნახველი და განმცდელი. ახალი იდეებით გამდიდრებული, მეამბოხე და დაუდგრომელი.

მისი თაოსნობით გამოცემული ჟურნალი „ცისფერი ყანწები“, სადაც ახალგაზრდა მწერლების დაჯგუფებამ თავისი მხატვრული კრედიტო გამოავლინა, რა თქმა უნდა, დღეს ვერავის დააკმაყოფილებს, ბევრი რამ იქიდან ახლა მიუღებელი და უარსაყოფია, მაგრამ თავის დროზე ჟურნალმა მაინც დადებითი საქმე გააკეთა. პაოლო იაშვილმა და მისმა მეგობარმა პოეტებმა საგრძნობი წვლილი შეიტანეს ქართული ლექსის ფორმის განახლებაში და ახალი თემატიკით გაამდიდრეს ჩვენი პოეზიის სამყარო.

ბუნებრივი იყო ის წინააღმდეგობა, ნამდვილი ბრძოლა, რომელსაც პირველ ხანებში უმართავდა საზოგადოების დიდი ნაწილი ამ ახალმოვლენილ ლიტერატურულ დაჯგუფებას და მის მიერ შემოტანილ ახალ იდეებს. მაგრამ ახალგაზრდობა რის ახალგაზრდობა იქნებოდა, თუ ბრძოლას შეუშინდებოდა და თავისი დაუშრეტელი ენერჯიის დაუხარჯავად უკან დაიხევდა. ამ ბრძოლაში ისინი იზრდებოდნენ, ახალ თვისებებს იძენდნენ, თანდათან იცვლებოდა მათი

შეხედულებაც ცხოვრებაზე და მხატვრული სიტყვის დანიშნულებაზე. თვითონ მეთაურიც, პაოლო იაშვილი, სულ მალე რეალიზმის გზას დაადგა პოეზიაში, და ამ გზიდან არასოდეს გადაუხვევია.

პაოლო იაშვილს სიცოცხლეში არ გამოუცია თავისი ლექსების კრებული. გამომცემლობებმა არა ერთხელ თხოვეს ნებართვა, მაგრამ ის ყოველთვის უარს ამბობდა. მან ძალიან კარგად იცოდა თავისი ფასი, როგორც პოეტის. იაშვილის ყოველი ახალი ლექსი დიდ ინტერესს იწვევდა მკითხველებში, მისი სახელი ძალიან პოპულარული იყო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ვერ გადაეწყვიტა საკუთარი წიგნის გამოცემა. ამის მიზეზი კი მხოლოდ ის იყო, რომ საოცრად მომთხოვნი იყო თავის თავისადმი და არ ჯერდებოდა მიღწეულს. პაოლო იაშვილის ლექსების, პროზის და თარგმანების კრებული მხოლოდ მისი ტრაგიკულად დაღუპვის ოცი წლის შემდეგ იქნა გამოცემული.

თავის ლექსებში ის საყვარელ სამშობლოს უმღეროდა და მის ახალ ცხოვრებას შეხაროდა:

„მოვდივარ შენთან, მოვდივარ
ნატვრით,
რაც გულში დამაქვს დიდი ხანია,
და სიყვარული მღელვარე მხატვრის,
შენს მიწა-წყალზე მომიტანია“.

„...ხალხის სახელით დღეს მევალება
ვიყო მეტყველი შენი სიამის,
დილა ვადიდო ცისფერთვალება
და ამაღლება ადამიანის“.

ეს პატრიოტული ვალდებულება, რომელიც პოეტმა იკისრა, კიდევ შეასრულა. ამასთანავე ის იყო ხალხთა შორის მეგობრობის მომღერალი, რასაც მოწმობენ მისი მგზნებარე ლექსები: „პოლონეთს“, „წინ, ეს-



ბანეთის გმირული ხალხი, „ოვანეს თუმანიანი“ და სხვ.

პაოლო იაშვილის რომელი ლექსიც არ უნდა ავიღოთ, დავინახავთ, რომ ის ბრწყინავს ფორმის მხრივ და მდიდარია შინაარსით. მისი ლექსი ნათელი და დახვეწილია. საილუსტრაციოდ შეიძლება მომეყვანა აქ რომელიმე მათგანი, მაგრამ, მე მგონია, უმჯობესი იქნება გადაიკითხოთ მისი წიგნი, რომ თვითონვე დარწმუნდეთ ამ სიტყვების სიმართლეში.

ლირიკული ლექსების გარდა პაოლო იაშვილის კალამს ეკუთვნის ორი პროზაული ნაწარმოები: „სამი ტკივილი“ და „ფერადი ბუშტები“. ამ მოთხრობებშიც ნათლად ჩანს მისი ძლიერი ტალანტი. მისმა მეგობრებმა ვიცოდით, რომ მოფიქრებული ჰქონდა კიდევ რამდენიმე მოთხრობა და, დარწმუნებული ვარ, ქართულ პროზას ბევრს შემატებდნენ ისინი, ისე უდროოდ რომ არ შეწყვეტილიყო პაოლოს სიცოცხლე.

ბავშვებისთვისაც წერდა პაოლო. უმცროსი ასაკისათვის დაწერილი რამდენიმე პოემიდან დღეს ჩვენ ხელთა გვაქვს ორი ნაწარმოები, ხოლო მესამე პოემის დედანი უკვალოდ დაკარგულია და რუსი პოეტის—მარშაკის თარგმანით ვიცნობთ.

აღსანიშნავია პაოლო იაშვილის მოღვაწეობა, როგორც მთარგმნელის. პუშკინის, მაიაკოვსკის, ბალმონტის, უცხოეთის გამოჩენილი პოეტების: არტურ რემბოს, შარლ ბოდლერის, ემილ ვერჰარნის, ოსკარ უაილდის პოეზია პაოლოს თარგმანებში თითქმის სავსებით ინარჩუნებს ორიგინალის ჟღერადობასა და ღირსებას.

პაოლო იაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა ხუთასგვერდიან წიგნში სავსებით ეტევა. თითქოს არც ისე ცოტაა ერთი კაცისთვის, მაგრამ რა მცირე ერგენება ეს მათ, ვინც პოეტის შესაძლებლობას იცნობდა...

არა სასაყვედუროდ, არამედ მხოლოდ იმისათვის, რომ პოეტის ხასიათის ერთი მხარე აღინიშნოს, შეიძლება ითქვას, რომ ის დაუდევრობას იჩენდა თავისთავისადმი. პაოლო არასოდეს არ ინახავდა თავის ლექსებს, არ იცოდა, სად რომელი და

რამდენი ჰქონდა გამოქვეყნებული. იქნებ ეს იმიტომ იყო, რომ თვითელი წუთი მისი სიცოცხლისა სავსე იყო შთავგონებით, ვერ იკლავდა სიცოცხლის წყურვილს, ყოველი დღის გათენება მისთვის ახალი ცხოვრების დასაწყისს წარმოადგენდა და ენაზე-ბოდა დაჰკარგვოდა თუნდაც წუთი, რომ სიცოცხლის სიტკბოს არ ზიარებოდა.

თავის დაუსრუტელ პოეტურ ენერჯიას ის ძალიან ხშირად იმპროვიზაციებში, უეცრად, ზეპირად თქმულ ლექსებში და მოთხრობებში ხარჯავდა. ამ მხრივ მას ბადალი არ ჰყავდა, ამაში ის ნამდვილი ჯადოქარი იყო. ეს ექსპრომტები და ზეპირი მოთხრობები ბრწყინავდნენ თავისი პოეტურობით და შინაარსით, თვითონ პაოლო კი არავითარ მნიშვნელობას არ აძლევდა მათ, ამ მარგალიტებს დაუზოგავად ფანტავდა, არასოდეს არ ჩაუწყერია ისინი და, ერთი-ორის გარდა, არაფერი არ დარჩენილა მათგან. შემთხვევით გადაარჩა, მაგალითად, ის შესანიშნავი ლექსი, რომელიც სარდაფში ნახულ ეთიმ გურჯს მიუძღვნა. ეს ლექსი რომ პაოლოს ერთ-ერთ მეგობარს არ შეენახა, ისევე უცნობი და დაკარგული იქნებოდა, როგორც სხვა მრავალი.

დღეს სამოცდაათი წლის იქნებოდა პაოლო იაშვილი.

ვინ იცის, რამდენი საუნჯე წაიღო თან. რა მრავალი გამოუჩენელი თვალმარგალიტი ჩაიყოლა მიწაში. მაგრამ ისიც, რაც დარჩა, საუკუნო სიცოცხლეს ანიჭებს მის სახელს.

პოეზია მართო უეცარი შთავგონება კი არ არის. თვითელი ის კარგი ლექსი, რომელიც თქვენს გულში გამოძახილს ჰპოვებს, ნაყოფია დიდი სულიერი დაძაბვის, მრავალჯერ მოფიქრებულის და ღრმად განცდილის. პაოლო იაშვილის ცხოვრება და ღვაწლი ძალიან დიდსა და საინტერესო მასალას იძლევა ამ მხრივ. გადაიკითხეთ პაოლო იაშვილის ნაწერები, გაეცანით მის შემოქმედებას და ეს იქნება საუკეთესო ჯილდო, რომელსაც თქვენ, ქართველი ახალგაზრდობა მიუძღვნით ამ შესანიშნავ შემოქმედსა და ადამიანს.

სერგო კლიაშვილი

ეკავოები

დედის სიტბო, დედის ხელი ვის არ უღებს ქვეყნის კარებს! ცეროდენა რომ ვიყავი, სულ ვნატრობდი შინ და გარეთ:

საჩუქარი კარგზე-კარგი, რა მემოვნა იმისთანა, სიყვარულით, სიხარულით დედიკოსთვის მიმეტანა.

ყელსაბამი ვერ შევეკადრე, ვერც პატარა ჭრელი ბურთი... ვარჩიე და ბოლოს დედას მივუტანე ბატიბუტი.

ცეროდენა რომ ვიყავი, სულ პატარა, ცელქი ბავშვი, არაფერი, არაფერი არ მიყვარდა ისე მაშინ, როგორც თეთრი ბატიბუტი— ჩაფიქტული კალათაში.

დღეს ხალხში ვარ, სკოლაში ვარ, ნაკადულებს წყაროდ ვერთვი, მომავლისკენ მივაბიჯებ, არ მერევა შავში თეთრი.

გაიზარდა ჩვენი ეზოც, ჩვენი სახლი, აივნები, და დედისთვის მიმაქვს ახლა ჩემი ბაღის ყვავილები.



მესტვირები

საკრამე რეხიანობილი

სოფელი ფარახეთი რიონის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს, რაჭველები მას მესტვირების ბუდე ეძახიან. მართლაც, რამდენიმე წლის წინ ბიჭია ბურდილაძისათვის რომ გეკითხათ, მარტო ამ სოფლიდან სამოცდაათამდე მესტვირის სახელსა და გვარს ჩამოგივლიდათ. როგორც ამბობენ, სტვირი მთელ საქართველოში ყოფილა გავრცელებული. სად არ შეხვდებოდით თურმე მას: ქართლ-კახეთში, ფშავ-ხევსურეთში, მესხეთ-ჯავახეთში, აჭარასა თუ სვანეთში, მაგრამ ყველგან თანდათან დავიწყებას მისცემია ეს მშვენიერი საკრავი. მხოლოდ რაჭის სოფელ ფარახეთში შემორჩენილა ამ ბოლო დრომდე. ალბათ, ბევრს ახსოვს ეზო-ეზო მოსიარულე აქაური ბერიკაცები გულა-სტვირით ხელში, ბევრს გაუგონია სტვირის საამო პანგები და მათი სახუმარო ლექს-შაირები. განთქმული მესტვირები ყოფილან: ერაძეები, ბურდილაძეები, ტოგონიძეები, ქურხულები; ეს მოხეტიალე მუსიკოსები ხალხში ავრცელებდნენ თავიანთ შესანიშნავ სიმღერებს, ნერგავდნენ სტვირის სიყვარულს. მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს ერთ მესტვირესაც ვეღარ შეხვდებით.

ბაბუაჩემიც მესტვირე იყო. გამრჯე გლეხი, მორჩებოდა თუ არა საოჯახო საქმეებს და ზამთრისათვის ჭირნახულს მოიმარაგებდა. ხელში აიღებდა გულა-სტვირს და გზას გაუდგებოდა. დადიოდა სოფელ-სოფელ, კარდაკარ, და სტვირის საუცხოო პანგებით ატკბობდა ხალხს. ასე სიმღერით შემოიარა მან საქართველოს მთა და ბარი. ეს ბერიკაცი მშრომელ ადამიანებს სიმღერით მოუთხრობდა სამშობლოს გმირულ წარსულზე, გამოჩენილ ქართველ რაინდებსა და მებრძოლებზე; ამავე დროს სახუმარო ლექსებითა და შაირებით ამხიარულებდა მათ.

კარგად მახსოვს თეთრწვერა, დარბაისელი და ტკბილმოუბარი ბაბუა, თავზე ჩაბალახმთხვეული, ნაბადწამოსხმუ-

ნახატები ბალა ბარამინიშვილისა

ლი, გულა-სტვირით ხელში. უბნის ბავშვები ურიაშულით დასდევდნენ და ეხვეწებოდნენ:

— ბაბუა, სტვირი დაუკარ, დაგვა-ლექსეო.

ბაბუას უყვარდა ბავშვები და მუდამ ხალისით ასრულებდა მათ თხოვნას. ლერწმის პატარა ღეროთი ჯერ გულას ჩაბერავდა, მარცხენა ილღის ქვეშ ამოიღებდა, მერე სტვირს მოიმარჯვებდა, ზიზილ-პიპილებით მოვარაყებულ ჯისვის რქაზე თითებს ლამაზად შეათამაშებდა, წვრილ თვალბეზე გადმოფარებულ დიდრონ წარბებს დაბლა დაჭიმავდა და სტვირიც ამღერებოდა. მესტვირე ბავშვებიდან ამოარჩევდა ერთ-ერთს და მისი სახელის გაგების მიზნით, სიმღერით მიმართავდა ასე:

მართა გქვია თუ ბარბაღლე,
შენი სახელი მასწავლე.

— ქეთო, ქეთო მქვია, ბაბუა, — არც კი აცლიდა ბავშვი მესტვირეს. ბაბუაც მაშინვე გამოუთქვამდა ლექსს გონას და დაამღერებდა:

თმაზე ეტყობა — ქეთოა,
რა ძნელი გასაგებია,
საქათმისაჲ იჩქარის,
უჭირავს გასაღებია.
დაგლოცავ, ქეთო, გიცოცხლოს
ბატი, იხვი და ვარია,
მაგათ კურტუმო მეჭამოს, —
ტაფაზე გამოშწვარია.
ვარიების ტაბაკები,
მიყვარს, რა ჩემი ბრალია,
იხვსაც მივირთმევე ტყემლითა,
ბატთან რა შესადარია.

ბავშვები სიცლით კვდებოდნენ. ბაბუა ახლა რომელიმე ბიჭუნას შეარჩევდა და მას მიმართავდა სიმღერით:

ქამანჩა მომართული მაქვს,
ხელში მიჭირავს სტვირია,
შენი სახელი მასწავლე,
მისი გაგება მჭირია.

თუ ბავშვი დაიბნეოდა და სახელის თქმას ვერ მოახერხებდა, მესტვირე ბაბუა გასახალისებლად ეტყობდა:

რა გაჯავრებით მიყურებ,
არა ვარ შენი მტერია,
მოვედი ჩემი სტვირითა,
ლექსები გითხრა ბევრია.
— ილია მქვია, ბაბუა, ილია..

მესტვირე არც კი შეჩერდებოდა. — დაალექსებდა:

შენი სახელი გავიგე,
რა თავქვე ცხვირი ქენია,
შენ ქებას დავატრიალებ,
როგორც ბალახში ცვლია.
ილია, რა დედამ გშობა,
ე მაგრე მშვენიერია,
წარბებში გადახატულხარ,
კალმით ხარ დანაწერია.

ამ სახუმარო შაირებს მოყვებოდა ბავშვების სიცლი-ხარხარის და მხიარული წამოძახილები: — კიდევ დაუკარ, ბაბუა!

— მეც დამლოცე... — ყვიროდნენ ბავშვები. მესტვირე კი ყურს არავის უბდებდა და მღეროდა:

ესლა კი უნდა ავჩქარდე,
შორსა ვარ წასასვლელია,
ამალამ გზაზე რომ დავრჩე,
დამძეგერება მგელია,
ვაი, თუ სტვირიც წამართვას,
ნაბადიც გაყვებს ჩემია...

შემდეგ გულასტვირს ილღიაში ამოიღებდა და გასწვავდა თავისი გზით. გზაზე რომ გავიდოდა, ხალხი მოსვენებას არ აძლევდა — გვიმღერე რამეო. მესტვირე დაკვრამი გასამრჯელოს არავის თხოვდა, თუ ვინმე თავისი სურვილით რაიმეს აჩუქებდა, — აიღებდა; სამაგიეროდ, მადლობის ნიშნად, კარგი დაკვრით ასიამოვნებდა. მესტვირის მთავარი მიზანი გასამრჯელოს აღება კი არა, ხალხში მუსიკალური საუნჯის გატანა, სიმღერისა და სტვირის სიყვარულის დათესვა იყო. მესტვირე მუდამ მშრომელ ხალხში ტრიალებდა, მათ ჭირ-გარამს იზიარებდა, მჩაგვრელებსა და მდიდრებს დასცილობდა. ამიტომ იყო, რომ გლეხები და მუშები, სტვირის პანგებით მოხიბულნი, გულწრფელად გამოთქვამდნენ თავიანთ აღტაცებას; თავადები კი აბუჩად იგდებდნენ მოხეტიალე მუსიკოსს, მათხოვარს ეძახდნენ. ერთ-სულ კიდევაც უცემიათ საბრალო ბაბუაჩემი. ამის გამო მას თავისთავზე ლექსი გამოუთქვამს, რომელსაც ხშირად სტვირზე ამღერებდა:

ქართლ-კახეთი, იმერეთი,
ყოვლგნივ ფეხით მოეარა,
სხიერს, საწყალს მაგრად სცემეს,
დიდი ხანი ეხრიალა.
გულკეთილი მეტყველებით,

სოფელს ძალიან უყვარდა,
მორჩა და სიკვდილს გადარჩა,
მეზობლებსაც გაეხარდათ...
საქართველოში საბჭოთა ხელისუფ-
ლების დამყარებას ღრმად მოხუცი მეს-
ტივრე აღფრთოვანებით შეხვდა და პირ-
ველი დღიდანვე თავისი სტივრით გა-
მარჯვებული ხალხის სამსახურში ჩადგა.
ახლა უფრო გაბედულად და ამაყად აქ-
დერდა მისი სტივირი:

აზნაურნო და თავადნო,
თქვენი ყმა აღარა ვართო,
გვინდა — მზეში მოვისვენოთ,
გვინდა — ჩერთში გავალთო,
აზნაურნი და თავადნი,
უწრუპუნებენ ქორებსა,
მათი ლამაზი ქალები,
უკან დასდევენ ღორებსა.
ეს ლექსი დიდ სიცილ-ხარხარს იწ-
ვევდა, აღტაცებული ხალხი მესტივირს
ლოცავდა: — ბაბუა, ღმერთმა სულ მუ-
დამ ისე მხიარულად გატაროს, როგორც
ჩვენ ესლა გაგვამხიარულეთ.
საბჭოთა ხელისუფლებამ,
კაი საქმე მოიყვანა,
მიწა-წყალი გააერთა,
გზები კაი გაიყვანა,
შეოლები კაი გამართა,
სწავლა ბევრი მოიტანა,
ჭაერთპლანი აღმართა,
პურიც ბევრი მოიყვანა,—

ასე უმღეროდა ბაბუა განახლებულ
ცხოვრებას.

ერთხელ, სიცოცხლის უკანასკნელ
დღეებში, ვინახულე მესტივირე ბაბუა.
ვესაუბრე და მერე ვთხოვე, ნება მოეცა
დამეკრა მის სტივირზე. ბაბუა მომიბ-
რუნდა და დინჯად მითხრა: „ხომ იცი,
ვაჟები არა გვყვანან და ჩვენი სტივირი
უკვალოდ უნდა დაიკარგოს; აიღე, შვი-
ლო, დაუკარი, იქნებ გამიქარგო ნაღვე-
ლი და დარდი“. სტივირი, რომელიც
ავადმყოფს თავქვეშ ედო, ფრთხილად
ავიღე, ჯერ ნამდვილ მესტივირესავით
გუდას ჩაებერე, გაბერილი გუდა ილღი-
ის ქვეშ ამოვიღე, თითები ჯიხვის რქა-
ზე შევათამამე, სტივირი ავამღერე და
მეც ავყვივი:

ყაყაჩო აყვავებულა,
ვარდია გასაშლელით,
ედემი ბალი გენახოს,
შენ ფეხით გასავლელით.

ბაბუას მოეწონა, თვალეებზე ცრემ-
ლები მოადგა. სიმღერა რომ დავამთა-
ვრე, საწოლზე წამოიწია და გახარებულ-
მა წამოიძახა: „შვილო, შენთვის დამი-
ლოცნია ჩემი სტივირი, რომელიც მთე-
ლი სიცოცხლის მანძილზე პატიოსნად
ვატარე. ხალხს ვემსახურებოდით მე

და ჩემი სტივირი, არსად არ შევრცხვე-
ნილვართ; მამა-პაპიდან მომდინარეობს
წესი: ვისაც სტივირი გულით შეჰყვარე-
ბია, ენერგება სიმღერა და დაკვრა,
მოხუცმა იმას უნდა გადასცეს თავისი

სტივირი, სულერთია, ეს შვილი იქნება
მისი თუ სხვა ვინმე. მე ამ წესს ვერ და-
ვარღვევ. აიღე სტივირი, დამილოცნია
შენთვის“, — მითხრა და სტივირი ხელ-
ში მომაწოდა.



ერენერ ნიჰიკსკი

ნახატები ბ. პალასი



მარეკ პეგუსის

პრაქვეულერკივი

თავგადასავალი

— მინდოდა მეტყვა...—ალეკმა მორცხვად დახარა თავი.

—რა გინდოდა გეტყვა, ყმაწვილო? — იპპოლიტ კვასსმა გამჭოლავი მზერა მიაპყრო ალექს. — იქნებ გამლებით მანიპულაციის შესახებ გინდოდა გეტყვა რაიმე?!

— როგორ მიხვდით? — წაიჩურჩულა კიბოსავით გაწითლებულმა ალექსმა.

იპპოლიტ კვასსმა ჩაიციხა.

— ახლა ჩემთვის ნათელია. რატომ უჩიოდი ამ ბოლო დროს დაღლილობას, რატომ დაქვეითდა ასე მკვეთრად შენი სპორტული შედეგები. — მან ჯიბიდან გაზეთი ამოიღო. — შენ ხომ წააგე უკანასკნელი შეხვედრა...

— გვევდრებით, ამაზე არაფერი უთხრათ დეიდაჩემს. იგი არ მაძლევდა გასაღებს და მიკრძალავდა სამამოობით გასვლას, შინ იჯექიო, მეუბნებოდა...

— შენ კი, საღამომობით თავისუფლად ნავარდი გიყვარდა. და როცა ყველა დაიძინებდა, ფანჯრიდან გადადიოდი, არა?

— გენიალურია! — წაიჩურჩულა ალექსმა.

— ამიტომ თქვენი ოთახის ფანჯარა არასოდეს არ იყო დაკეტილი; თუ შენ პან ფანჯარაზე ადრე ვერ მოასწრებდი მოსვლას, მაშინ კარს გამლებით ალებდი, რადგან პან ფანჯარა მოსვლისას ყოველთვის კეტავდა ფანჯარას. ასე არ არის?

— თქვენ გენიოსი ხართ!...—ამოიოხრა ალექსმა.

— გენიოსი კი არა ვარ, უბრალოდ, — ვიცი რა უნდა ვიფიქრო.

— როგორ მიხვდით ყველაფერს?
— ეს არც ისე ძნელი იყო.

იპპოლიტ კვასსმა ჯიბიდან ამოიღო კინოთეატრის ღამის სენსის ბილეთი და ტრამვაის ბილეთი.

— ესენი მე შენი ლაბადის ჯიბეში ვიპოვე, ყმაწვილო. დანარჩენი კი, ლოგიკური მსჯელობის შედეგია.

— პან იპპოლიტ, კი არ ვერთობოდი, — ვმუშაობდი. მე მინდოდა ფული შემეგროვებინა მოტოციკლისათვის და ამიტომ კინოთეატრში მებილეთედ დავიწყე მუშაობა. შაბათობით სენსები ღამის პირველ საათზე მთავრდება, არ მინდოდა ამის შესახებ მეტყვა დეიდასათვის და ბიძაჩემისათვის, ისინი დამიშლიდნენ ღამით მუშაობას. მაგრამ ეს მხოლოდ ივლისამდე გავრძელდება. ივლისში მოტოციკლს ვიყიდი და მუშაობას თავს დავანებებ.

— სიტყვაზე გიტერ, ყმაწვილო, — შენიშნა იპპოლიტ კვასსმა.

რისტორანი „არიზონა“.

ალეკი შინ არ დაბრუნდა.

ვენეცელავ უჩინარის კვალდაკვალ.

ფოლადის მახე.

იპპოლიტ კვასი, პან ცედურისა და ალექსის თანხლებით, რესტორან „არიზონაში“ რომ შევიდა, დარბაზი უკვე გაჭედილი იყო ხალხით და ოფიციალტები ძლივს ახერხებდნენ გავლას მჭიდროდ დადგმულ მაგიდებს შორის. კონცერტი დაიწყო. პატარა სენსაზე გამოჩნდა კოვბოურ ტანსაცმელში გამოწყობილი პან ფანჯარა,

გაგრძელება. იხ. „პიონერი“ № 1—8

ხელში საქსაფონი ეჭირა. ტაშისცემით შეხვდა მის გა-
მოჩენას დარბაზი.

ჩვენი სტუმრები ამაოდ ეძებდნენ თვალებით ცარიელ
მაგიდას. უეცრად, თითქოს მიწიდან ამოძვრო, ოფიცია-
ტი გამოეჭიმათ.

— პან იპპოლიტ კვასის ბრძანდებით? — იკითხა მან.
— დიახ, მე განლაგართ.

— თქვენის ნებართვით და პან ფანფარას თხოვნით,
თქვენთვის მაგიდა შეკვეთილია.

იპპოლიტ კვასსმა მადლიერებით სავსე მზერა ესრო-
ლა სცენას. პან ფანფარამ გაუღიმა და შეთქმულების მო-
წილესავით ჩაუტკრა თვალი.

მაძებარმა და მისმა ამხანაგებმა ფანჯარასთან მაგიდა
დაიკავეს, ღიმილიანი შეუკვეთეს და ცნობისმოყვარეო-
ბით მიმოავლეს თვალი დარბაზს. საუბედუროდ, ამ დროს
— ანტრაქტიო — გამოაცხადეს და ცეკვები დაიწყო.
აცეკვდნენ წყვილები.

— ამ ჯგლეთაში ვინ უნდა იცნო, — თქვა ალექმა.

— წავალ, დავზვერავ, — თქვა პან ცედურმა.

— ვინმე უნდა გამოიწვიოთ საცეკვაოდ, მეგობარო. თუ
ისე გაელ-გამოედენ წყვილებს, უთუოდ ვენჩესლავ უჩინა-
რის ყურადღებას მიიპყრობ. იგი წარმოუდგენლად
ფრთხილი ბანდიტია. ოღნავი წინდაუხედაობა და—ყვე-
ლაფერი დაგველუპება.

პან ცედური პარტნიორის საძებნელად გაემართა. თით-
ქმის ყველა ქალი ცეკვავდა და იგი იძულებული იყო გა-
მოეწვია ერთი დონდროხა ქალი, რომელიც, ალბათ, ას
კილოგრამზე ნაკლებს არ იწონიდა. პან ცედური მთლად
გახვითქული დაბრუნდა თავის ადგილას, ფეხები ეკეცე-
ბოდა.

— O, per Bacco! Per Bacco! დამიფასებს კი ოდესმე
ჩემს თავგანწირვას ის საძაგელი მარეკი?

— რა პქენით, — მოუთმენლად იკითხა იპპოლიტ კვა-
სსმა, — იპოვეთ ვენჩესლავ უჩინარი თუ ვერა?

— დიახ... პან იპპოლიტ, ჩემს მონდომებას ამაოდ არ
ჩაუვლია: მოცეკვავეთა შორის მე დავინახე წვეროსანი.
რომლის გარეგნობა შეესაბამება თქვენს მიერ დახატულ
ვენჩესლავ უჩინარს. წვეროსანი დარბაზის ბოლოში ცეკ-
ვავს და თავისი პარტნიორის მხრებს ზევიდან აქეთ-
იქით იყურება ყურდაცქვეტილი.

— კეთილი, ახლა ის მაინც ვიცით, რომ ვენჩესლავ უჩი-
ნარი დარბაზში იმყოფება, — თქვა კმაყოფილმა იპპოლ-
ლიტ კვასსმა. — თვალი არ უნდა მოვაშოროთ, თორემ...

მუსიკა შეწყდა, მოცეკვავენი მაგიდებს დაუბრუნდნენ.

— უნდა გავიგო, სადა ზის, — თქვა მაძებარმა.

— დარბაზი სავსეა, carissimo mio,¹ როგორ დაინა-
ხავთ?

— საშიშია, თქვენ თვითონ არა თქვით, — ვენჩესლავ
უჩინარი მულამ დაძაბული და ყურებდაცქვეტილიაო,
უთუოდ შეგნიშნავთ, — თქვა ალექმა.

— ნუ გეფიქრებთ, მძლეოსანო.

იპპოლიტ კვასსი ადგა და თავისი დიდი პორტფე-
ლით საპირფარეოსაკენ გაემართა. ერთი წუთის შემ-
დეგ იქიდან გამოვიდა სრულიად გარდასახული მაძებარი.
ერთ ხელში ეჭირა ლანგარი, რომელზედაც ბოთლით
ღვინო იდგა, მეორე ხელზე ხელსახოცი ჰქონდა გადა-

კიდული. ერთი სიტყვით, — პირწავარდნილი ოფიცია-
ტი იყო.

მსუბუქი, აცეკვებულ ნაბიჯებით გაიარა პან კვასსმა
მაგიდებს შორის, — თავი ისე ეჭირა, თითქოს იქ მყოფთ
ემსახურებო.

— შესანიშნავია! — წაიხურჩულა გაცეხულმა ალექმა.
რამდენიმე წუთის შემდეგ იპპოლიტ კვასსი უკან დაბ-
რუნდა, მაგიდას მიუახლოვდა და წაიხურჩულა:

— ყველაფერი რიგზეა, — ვენჩესლავ უჩინარი დარბა-
ზის კუთხეში, სარკის წინ ზის, ხალხისკენ ზურგშექცეუ-
ლი. ასე და ამგვარად, იგი მთელს რესტორანს ხედავს სარ-
კეში. მის მაგიდას უზის რამდენიმე საშიში ბოროტ-
მოქმედი.

— რა უნდა გავაკეთოთ?

— ფრთხილად უნდა ვადევნოთ თვალი დარბაზის იმ
კუთხეს, ეს შენ უნდა გააკეთო, მძლეოსანო. თქვენ კი,
კოლეგა ცედურ, შემოასასვლელ კარზე გეჭიროთ თვალი.
როცა ვენჩესლავ უჩინარი გასვლას დააპირებს, მაშინვე
უკან გაპყევით.

ათს ხუთი წუთი აკლდა, ალექმა რომ ნიშანი მისცა:

— ყურადღება! ვენჩესლავ უჩინარი დგება მაგიდიდან.

რამდენიმე წამის შემდეგ, მაღალი, წვეროსანი კა-
ცი გასასვლელისაკენ გაემართა.

— ის არის, — ჩურჩულით თქვა პან ცედურმა.

— სავსებით სწორია, დამახსოვრეთ მისი გარეგნობა.
იწყება პირველი რაუნდი! გავდივართ.

იპპოლიტ კვასსი სკამიდან ადგა.

— რესტორნის წინ ტაქსების გაჩერებაა, — წაუჩურ-
ჩულა მან პან ცედურს. — ჩაიწერეთ ყველა მანქანის
ნომერი, ჩაჯექით ერთ-ერთ მათგანში, სჯობია „ვარშავა-
ში“ ჩაჯდეთ, და დაგველოდეთ.

პან კვასსმა კვლავ დახედა საათს, — ათს სამი წუთი
აქლდა.



¹ ჩემო ძვირფასო (იტალიურად).

* * *

ანატოლ ფანფარა, ჩვეულებისამებრ, ორ საათზე დაბრუნდა შინ და გაუკვირდა, რომ პეგუსების ოთახში სინათლე ენთო. მაგრამ უფრო ძლიერ ის გაუკვირდა, რომ შემოსასვლელშივე შეეგებნენ პანი პეგუსოვა და პან პეგუსი.

- რა მოხდა? — იკითხა მან. — რატომ არ გძინავთ? პასუხის ნაცვლად პან პეგუსმა ხელი ჩაავლო.
- პან ანატოლ, თქვენ მარტო დაბრუნდით?
- არაფერი მესმის, — წარბები აჭიმა პან ფანფარამ.
- ისინი სადღა არიან?
- დიდი ხანია წამოვიდნენ.
- „არიზონადან“?
- დიახ, „არიზონადან“.
- ალექი სად არის?
- ალექი მათთან ერთად წავიდა.
- სად?
- ალბათ — სახლში.

პეგუსებმა ერთმანეთს გადახედეს, მათ ფართოდ გახედილ თვალებში სასოწარკვეთა აღიბეჭდა.

- პან ანატოლ, — ძლივს წარმოთქვა პანი პეგუსოვამ, — ალექი შინ არ მოსულა.
- თქვენ ხუმრობთ! — შეშფოთდა პან ფანფარა.
- აქამდე არაფერი შეგვატყობინა. საშინლად ვღეღავთ.

— გვეშინია, ჩვენი მარეკივით არაფერი დაემართოს. შვილის ხსენებაზე პანი პეგუსოვას თვალში ცრემლები აუკიაფდა.

- თქვენ ხომ იცით, პან ანატოლ, რომ ალექი ობოლია და ჩვენ ვცდილობთ მშობლების მაგივრობა გავუწიოთ, — თქვა პან პეგუსმა.
- და ღვიძლი შვილივით გვიყვარს, — დაუმატა პანი პეგუსოვამ.

- ალექი ბალღი როდია, — შენიშნა პან ფანფარამ. — ვგონებ, ოცი წლისაა, არა?
- თვრამეტისაა.
- თვრამეტის? კაი ვირი ყოფილა!

— ოჰ, პან ანატოლ. თვრამეტი წლის ყმაწვილები ყველაზე ტუტუნნი არიან, ყველაზე უგუნურნი, ყველაზე ქაზაფშუტები. როგორ მიეცი ნება, ტიმოთეუშ, — საყვედურით მიუბრუნდა იგი ქმარს, — როგორ მიეცი ნება იმ საშინელ კაცს, იმ მაძებარს — თან წაეყვანა ალექი „არიზონაში“ ბოროტმოქმედებთან შესახვედრად.

— სწორედ მეც მანდა ვარ, — შენიშნა პან პეგუსმა, — არაფრის დიდებით არ მივცემდი ნებას, რომ კვასსი არ შემპირებოდა, — თერთმეტ საათამდე შინ მოვიყვანო.

— არა, ეტყობა, რაღაც მოხდა, — ხმადაბლა თქვა პანი პეგუსოვამ, — მოხდა რაღაც საშინელი რამ.

— ჯერ აბა რა გაქვთ ასაღელვებელი, — პან ფანფარა ცდილობდა დაემშვიდებინა ქალი, — მაძებარი კვასსი — ბებერი მელაა.

- მაშ რატომ არ დაბრუნდა?
- იქნებ კვალს მიაგნეს და ახლა ბოროტმოქმედებს იჭერენ.
- ბოროტმოქმედებს იჭერენ? ო, ღმერთო ჩემო, რას ამბობთ!

— ყოველთვის კარგს უნდა მოელოდეთ, იქნებ ახლა მარეკიც თან მოიყვანონ.

კიდევ დიდხანს ამშვილებდა პან ფანფარა გატანჯულ

პეგუსებს, ბოლოს ყველანი დასაძინებლად დაწვეს, მაგრამ იმ დამესაც თვალი არავის მოუხუჭავს.

* * *

ახლა ვნახოთ, რა შეემთხვათ იპპოლიტ კვასსა და მის მეგობრებს. როგორც ვახსოვთ, ათს სამი წუთი აკლდა, როდესაც მეძებარი კვასსი და ალექი ვენჩესლავ უჩინარს ფეხდაფეხ გამოჰყვნენ დარბაზიდან. მათ შენიშნეს, რომ ვენჩესლავ უჩინარი გასახდელისაკენ გაემართა. იპპოლიტ კვასსმა და ალექს ნიშანი მისცა, და ორივენი ამოეფარნენ ფირფიცრის დიდ ფარს, რომელზედაც გამოსახული იყო მუსტანგზე ამხედრებული კოვბოი. კაქტუსებსა და ცხენის წინა ფეხებს შორის უამრავი ჭურჭუტანა იყო, საიდანაც კაცს არხეინად შეეძლო თვალყური ედევნებინა ყველაფრისათვის, რაც გასახდელში ხდებოდა. იპპოლიტ კვასსი და ალექი ფარის ჭურჭუტანებიდან თვალს არ ამორებდნენ ვენჩესლავ უჩინარს. ბოროტმოქმედმა გასახდელიდან აიღო ლაზბადა და ხელჯობი, ცალ ფეხზე შემოტრიალდა და, იმის მაგივრად, რომ გასახდელისაკენ წასულიყო, საწინააღმდეგო მიმართულებით გაემართა, სადაც საპირფარეოები, გასახდელები და რესტორნის სხვა დამხმარე სათავესოები იყო ვახლავებული. ფრთხილად მიმოიხედა, ჯიბიდან გასაღები ამოიღო და გააღო კარი, რომელზედაც მსხვილი ასოებით ეწერა: „საპირფარეოები მსახიობთათვის — უცხო პირთა შესვლა აკრძალულია“. შემდეგ კვლავ მიმოიხედა ირგვლივ, ჯიბიდან პატარა ბოთლი ამოიღო, რამდენიმე ყლუპი მოსვა და მაშინვე კარს უკან გაუჩინარდა.

იპპოლიტ კვასსმა ალექს თავი დაუქნია და საფარიდან გავიდა, მაგრამ კარამდე მისვლაც კი ვერ მოასწრო, რომ გაისმა გასაღების ჩხაკუნის ხმა. ვალერიანის წვეთების გულისამრევი სუნი მოწმობდა იმას, რომ აქ ახლახანს იყო ვენჩესლავ უჩინარი.

— არ არის კარგი, — თქვა იპპოლიტ კვასსმა. — ეს მე არ მომწონს. ეტყობა, ვენჩესლავ უჩინარმა გადაწყვეტა. — რაიმე ოპერაცია ჩაატაროს გასახდელში ან...

— რა გინდათ ამით თქვათ? — წაუჩუჩრჩულა შეშფოთებულმა ალექმა.

- იქნებ რაიმეს მიხვდა?
- რა უნდა ვქნათ?

იპპოლიტ კვასსმა ეშმაკურად გაიღიმა: — ყოველივე ეს წინასწარ ვიცოდი, ჩემო ბიჭუნო... —

თქვა მან და ჯიბიდან ხელსაწყოების შეკვრა ამოიღო. — ახლა კი — საქმე! შენი ამოცანაა, ყმაწვილო, სასწრაფოდ გავხიდე ქუჩაში. ათ ნაბიჯზე, ხელმარცხნივ, ალაყაფის კარია, კარს გაცდები და ეზოში შეხვალ. მესამე სარდაფის ფანჯარა — გასახდელის ფანჯარაა. ამ ფანჯარას ადევნე თვალი. შეიძლება სწორედ ამ ფანჯრიდან გადმოძვრეს ვენჩესლავ უჩინარი. თუ ასე მოხდა მაშინ, ყმაწვილო, ფეხდაფეხ უნდა გაჰყვე. ეზოდან ქუჩაში გამოსვლა მხოლოდ ალაყაფის კარიდან შეიძლება. ქუჩაში შენ დაგელოდება ტაქსი, რომელშიც იქნება პან ცელდური. პან ცელდურს ჩაწერილი აქვს იქ მდგომი დანარჩენი ავტომანქანების ნომრები. ერთ-ერთ მათგანში უთუოდ ჩაჯდება ვენჩესლავ უჩინარი. იგი ყოველთვის ტაქსით დადის. დაიმახსოვრე, რომელ მანქანაში ჩაჯდება და მე დამელოდე. თუმცა, მე ვეცდები შენზე ადრე გავიდე ქუჩაში — მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, შენც იქ უნდა იყო, ასე ვთქვათ, დაზღვევი-



ფეხბურთის სწავლებები

ტყავის ბურთის მრავალი შესანიშნავი ოსტატი აღზარდა საბჭოთა ფეხბურთმა. ბევრი მათგანი გამოირჩეოდა კარგი თვალზომით და სწაიპერული თვისებებით. აღბათ კიდევ დიდხანს დარჩება გადაულახავი აღექსანდრე პონომარიოვის რეკორდი — მან თავის საფეხბურთო კარიერის მანძილზე მოწინააღმდეგის კარში 148 — ბურთი გაიტანა. ბევ-

რად არ ჩამორჩება მას ნიკიტა სიმონიანი — (140 გოლი), 130 გოლი გაიტანა ს. სოლოვიოვმა; 129 — გ. ფელოტოვმა; 126 — ა. ლოლობერიძემ; ასზე მეტი ბურთი აქვთ გატანილი კ. ბესკოვს, ზ. კალოვს, ვ. ვოროშილოვს. (ამ ფეხბურთელთაგან დღესდღეობით მხოლოდ ზ. კალოვი-ლა გამოდის მწვანე მოედანზე).

იმათგან, ვინც დღეს განაგრძობს თამაშს, ყველაზე მეტი ბურთი აქვთ გატანილი ვ. ივანოვს (81), ვ. პონედელნიკს, კრასნიცკის, სევიდოვს; თბილისის დინამოელთაგან 54 ბურთი აქვს გატანილი ვ. ბარქაიას, 37 — შ. იამანიძეს.

1958 წლიდან გაზეთმა „ტრუდმა“ დააწესა ჯილდო — საუკეთესო ბომბარდირისთვის. იმ წელს ეს

პრიზი სპარტაკელ ა. ილიანს ხვდა წილად, რომელმაც ერთი სეზონის მანძილზე 19 ბურთი გაიტანა. 1959-60 წლებში პრიზის მფლობელი იყო თბილისის დინამოელი ზ. კალოვი (16-20) ბურთი), 1961 წელს — იმხანად მოსკოვის ტორპედოელი გ. გუსაროვი (22 ბურთი), 1962 წელს — სპარტაკელი სევიდოვი და ბაქოელი მარკაროვი, (16-16 ბურთი); გასულ წელს ეს პრიზი როსტოველმა არმიელმა კოპაევმა დაისაკუთრა (27 ბურთი).

უცხოეთში ჩვენზე არანაკლებად აფასებენ ფეხბურთის სწაიპერებს. ინგლისის გუნდ „ვეერტონის“ განთქმულმა თავდამსხმელმა დიკსი დინმა, 1927-28 წლის სეზონში (ინგლისში, საფეხბურთო ჩემპიონატი ზამთარში მი-

მდინარეობს) 60 ბურთი გაიტანა. თავის საფეხბურთო კარიერის მანძილზე მან 379 ბურთი გაიტანა. დღევანდელ უცხოელ ფეხბურთელთაგან განსაკვივრებული შედეგებით გამოირჩევა ბრაზილიელი პელე: 23 წლის ფეხბურთელს უკვე გატანილი აქვს 500 გოლი. მარტო 1958 წლის სეზონში მან 58 ბურთი გაიტანა.

არ უნდა დაგვაფიწყედეს, რომ დღევანდელ ფეხბურთში ტაქტიკის შეცვლასთან დაკავშირებით (თავდამცველთა რაოდენობის გაზრდა) თავდამსხმელებს სულ უფრო და უფრო უჭირთ ბურთების გატანა (ამას მიმდინარე ჩემპიონატიც ადასტურებს). ასე რომ, პელეს რეკორდი შესაძლოა კიდევ მრავალ წელს დარჩეს გადასალახავი.

სათვის, — მხოლოდ დაზღვევისათვის. მე მაშინვე გავყვები უკან. შენ კი, მძლეოსანო, შინ დაბრუნდები, — პეგუსებს ხომ შეეპირდი შენზე — თერთმეტ საათამდე დაბრუნდება-მეთქი. დაიხსომე, უჩემოდ არ გაპყვეთ კვალდაკვალ უჩინარს. თქვენი ამოცანაა, მხოლოდ მისი ტაქსის ნომრის დამახსოვრება; მიაქციეთ ყურადღება, რომელ მხარეს წავა მანქანა და დამელოდეთ... ეს მაშინ, თუ მე ადგილზე არ აღმოვჩნდები. მაგრამ მე უთუოდ იქ დავხვდებით. დაიხსომე ყოველივე, ყმაწვილო. ყველაფერი გაიგე?

— ყველაფერი.
— მაშ, აბა, შენს პოსტზე წადი.
ალეკი გამოვიდა, მძებარი სავარდერობო ოთახის კარს აეკრა, მიაყურა და თან აჩქარებით არგებდა გასაღებს კარს. უეცრად შუქი ჩაქრა. ვიდრე კვასის გონს მოვიდოდა, ვილაცამ თავზე ჯვალო ჩამოაცვა, კეფაში დაარტყა და წააქცია. მან იგრძნო, როგორ ინთქმებოდა ნელ-ნელა სიბნელეში.

ალეკი ფრთხილად გავიდა ეზოში. სანაგვე ყუთის გვერდით გამხმარი ხეს ამოეფარა და მთელი გულისყურით დაუწყო თვალთვალი სავარდერობო ოთახის ჩაბნელებულ ფანჯარას. უეცრად, გული აუჩქროლდა და მთელი ტანით მიეყრდნო ხეს. სარდაფის ფანჯარა გაიღო და იქიდან გადმოძვრა ვენჩესლავ უჩინარი. ფრთხილად მიმოიხედა და, როცა დარწმუნდა, სამიში არაფერიყო, მშვიდად გაემართა ალაყაფის კარისაკენ. ალექიც დაიძრა.

ალაყაფის კართან ყმაწვილი შეჩერდა. „არიზონას“ წინ, ტაქსების გაჩერებასთან, მხოლოდ სამი მანქანა იდგა. ერთ-ერთში პან ცელური შეინშნა.

ვენჩესლავ უჩინარმა ბოლო მანქანასთან მიიბრინა, კარი მიიხურა, მანქანა დაიძრა. მაგრამ რა ნომერია? რა ნომერია მანქანა? ალექი ამაოდ დააცქერდა აბრას. ისე ცუდად იყო განათებული აბრა, რომ ვერცერთი ციფრი ვერ ამოიკითხა.

ალექმა პან ცელურთან მიიბრინა.
— დაჯექით, — წაიჩურჩულა პან ცელურმა.
— იპპოლიტ კვასისი სადღაა?
— ჯერ არ გამოსულა.
ალეკი შეშფოთდა. ვენჩესლავ უჩინარის ტაქსი მიქროდა.

— დაჯექით, რაღა! — დაიყვირა ცელურმა. — თვითელი წუთი ძვირფასია!
ალეკი მანქანაში შეხტა.
— იმ ტაქსს მიპყვეთ! — დაუძახა მძლეოს პან ცელურმა.

— პან იპპოლიტმა მიბრძანა, დამელოდეთო, — წაიდუღუნა ალექმა.
— ბავშვი ხომ არა ხართ, bambino mio! პან იპპოლიტ კვასს არ უნდოდა პასუხისმგებლობა ეკისრა თქვენი ოჯახის წინაშე. ჩემის აზრით, თქვენ საკმაოდ დიდი ხართ და თქვენს თავს თქვენ აფიქრონ უნდა უგლიდეთ. ხომ არ გეშინიათ?
— არა.

— ჩვენ დავუმტკიცებთ მძებარს, რომ უნარი გვაქვს დამოუკიდებლად მივიღოთ გადაწყვეტილება. ბოლოს და ბოლოს, მთავარია ხელიდან არ გავუშვათ ბოროტმოქმენი. ახლა რომ უკან არ დავდევნებოდით, ყოველგვარი კვალი დაგვეკარგებოდა. რატომ არ ფიქრობთ საწყალ მა-

რეკზე! იგი ხომ შველას ელოდება *povero bambino mio*.¹

...ტაქსმა მოუხვია B—3 ტრასაზე², შემდეგ ჩვენი მეგობრები შელენსკის ხიდზე გავიდნენ. მათ წინ სულ ვენჩესლავ უჩინარის ტაქსი ანათებდა. ეს იყო ძველი, დანჯღრეული „ოპელ-კაპიტანი“, ოთხცილიანდრიანი „ვარშავა“, რომელშიც ჩვენი მეგობრები ისხდნენ, ადვილად მიჰყვებოდა კვალდაკვალ „ოპელ-კაპიტანს“.

აი, „ოპელმა“ მარცხნივ მიუხვია, კიდევ ერთი მოსახვევი და... მანქანა რომელიღაც ცუდად განათებულ ქუჩაში აღმოჩნდა. „ოპელი“ გაჩერდა, ვენჩესლავ უჩინარი გადმოხტა.

პან ცედურმა გააჩერებინა „ვარშავა“, ალექს წაუჩურჩულა და მიუთითა ვენჩესლავ უჩინარზე, რომლის სილუეტი ნელ-ნელა თვალს ეფარებოდა.


— თვალი არ მოაშორო, ფულს გადავიხდი და დაგეწევით.

ალეკი აჩქარებული ნაბიჯით გაემართა წინ. ვენჩესლავ უჩინარი უკანმოუხედავად, ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა ხეივანი, ცარიელ ქუჩაში, შემდეგ კი უეცრად პარკის კარებში შევიდა.

ახლა ისინი მიდიოდნენ დიდ, დაბურულ ხეებს შუა, უკან სიბნელეში.

— ო, კინალამ დამეკარგეთ, — ჩურჩულით უთხრა აქლოშინებულმა პან ცედურმა, რომელიც ძლივს დაეწვია ალექს. — საით მიდის?

— ალბათ, აქ სადმე ავაზაკთა ბუნავია, — ხმადაბლა მიუგო ალექსმა.



— ჩიტი თავის ბუდეში უნდა დაევიქიროთ, — ჩურჩულით თქვა პან ცედურმა.

ამასობაში, ვენჩესლავ უჩინარმა ხეივნიდან გადაუხვია. პატარა ფარანით ხშირ ბუჩქნარში ძლივს იკვლევდა გზას. ფარანი რომ არა, ჩვენი მეგობრები ნამდვილად დაჰკარგავდნენ მას თვალთა ხედვიდან.

უეცრად, მათ წინ აღიმართა ლითონის ბადის ზღუდე. ფარანმა ზღუდის იქიდან გამოაჭყიტა.

— როგორ გავიდა იქითა მხარეს? — გაიკვირვა პან ცედურმა.

— ალბათ, ამ ზღუდეში სადმე გასაძრომია დატოვებული, — ხმადაბლა გამოეხმაურა ალექი. — ახლავე მოვებნით.

სიბნელეში ხელის ფათურით ეძებდა ალექი გასაძრომს და ასე დაღუნული მიჰყვებოდა ზღუდეს გასწვრივ.

— ვიპოვე, — აღელვებით წაიჩურჩულა ალექმა. — აქეთ, პან ცედურ.

მეგობრები გაძვრნენ ბადის ქვეშ. სველ მიწაში მთლად ამოეთხვარათ ხელები. წინ, რაღაც ოცი მეტრის დაშორებით, ოღნავ ბუტუტავდა ფარანი, ირგვლივ უკუნი სიბნელე იყო. არც ვარსკვლავები ჩანდა, არც მთვარე. შორიდან ისმოდა ქექა-ქუხილის სუსტი გამოძახილი. დახუთულმა ქარმაც დაქროლა საიდანღაც.

— წვიმა წამოვა, — წაიჩურჩულა ალექმა.

ასე მიიწვედნენ წინ მბუტუტავი ფარნის კვალდაკვალ, ცივი ტოტები სცემდათ სახეში. ალბათ, ვენჩესლავ უჩინარსაც უჭირდა სიარული, — ის ძველებურად ჩქარა ველარ მიიწვედა წინ. მეგობრებს ეჩვენებოდათ, რომ ფარანი სულ რაღაც ხუთი მეტრით წინ იყო. ხეების სულ უფრო და უფრო მზარდი ხმაური უფრო მეტად ახმოზდა მათი ნაბიჯების ხმას.

უეცრად, ალექმა თავი მიართვა რაღაც მაგარს, ხელით რომ მოსინჯა, რკინის წნელი აღმოჩნდა.

— კვლავ რაღაც ზღუდეა, — წაიჩურჩულა მან და ხელი წაივლო იმ ადგილზე, რომელიც რკინის წნელს მიართქა.

— ხელმარცხნივ იარეთ, ხელმარცხნივ, — ურჩია პან ცედურმა, — აქ სადღაც გასასვლელია.

კიდევ რამდენიმე წამს მიდიოდნენ ისინი რკინის წნელისაგან დაწნული ზღუდის გასწვრივ, უეცრად გაისმა რკინის უცნაური ჩხარა-ჩხური, კარი გაიღო და ფარანი ჩაქრა.

მეგობრები გაშეშდნენ და მიაყურეს. ირგვლივ ისევ სიჩუმე ჩამოწვა. მხოლოდ მალა, თავს ზემოთ, შრიალეზდნენ ხეები, ვისლის მხრიდან კი ქარს რაღაც ყრუ ხმაური მოჰქონდა...

— რაღას უცდით? — წაიჩურჩულა პან ცედურმა ალექს.

— ვერაფერს ვერა ვხედავ, — უპასუხა ალექმა. სამი ნაბიჯიც არ ჰქონდათ გადადგმული, რომ კვლავ რკინის მესერს წააწყდნენ.

— შეღობილია, — გაიკვირვა ალექმა.

ისინი ხელით სინჯავდნენ რკინის წნულს და ყველგან მესერს აწყდებოდნენ.

— მგონი... — თქვა პან ცედურმა, — მგონი, რკინის გალიაში გამოვემწყვდიეთ.

1 ჩემი საწყალი ბიჭუნა (იტალიურად).
2 მაგისტრალი, რომელიც ვარშავას ქრის აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ.



წაუკუნი

ბივი ძეგლი

თითქოს ამის საპასუხოდ, ფარანი კვლავ აკიაფდა და გაანათა რკინის გალიის კარი, რომელსაც დიდი ბოქლომი ედო. მეგობრები მაშინვე კარს ეცნენ, მაგრამ კარი დაკეტილი იყო, — შიგნიდან მძიმე ურღული ედო.

მეგობრებს ცივმა აცვლმა დაასხა და ერთმანეთს გადახედეს. უეცრად, ვიღაცის საზიზღარი, დამცინავი ხარხარი გაისმა. შუქი ჩაქრა. თანდათან სულ უფრო და უფრო დახშული ხარხარი ისმოდა და ბილოს მთლად მიწყდა.

— არაფერი არ მესმის, — ამოიხრა ალექმა.
— რა არის აქ გაუგებარი? — ავაზაკმა კარი მოგვიკეტა და ცხვირწინ ხელიდან გაგვისხლტა.

— ეტყობა, იგრძნო რომ მივდევდით, და გაგვაბითურა.
— თუ არა ვცდები, ჩვენ რომელიღაც პარკში ვიმყოფებით.

— რა უნდა გავაწყოთ, პან ალექ, მეტი გზა არა გვაქვს, უკან უნდა დავიხიოთ.

ხელის ფათურით საჩქაროდ გამოჰყვნენ რკინის გალიას, რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ თავისუფალი სივრცე გათავდა. რკინის მესერმა სწორი კუთხე შეკრა.

— არაფერი არ მესმის, — წაილულულა ალექმა, — გეთყვავ, ერთი, ასანოს გაჰკარით.

— არ ვიცი, დამრჩა თუ არა ასანთის ღერები, — ჩურჩულით თქვა პან ცელურმა, — მგონი, ტაქსში რომ ვიჯექი, მაშინ დავწვი სულ.

ერთხანს ნერვიულად ისვამდა ხელს ჯიბეებზე.
— მხოლოდ სამი ღერიღა დამრჩენია.

— სულერთია, აანთეთ, ორიენტაცია უნდა ავიღოთ...

პან ცელურმა გაჰკრა ასანთს. პატარა ალმა უკან დახია სიბნელე. შიშისაგან თვალეზგადმოკარკლული მეგობრები აქეთ-იქით იხედებოდნენ.

— ყველგან რკინის მესერია, — თქვა ულონოდ ალექმა.

— ავაზაკმა გალიაში გამოგვეკეტა!

— ეს გალია არ არის.

— მაშ ეს წნულები რაღაა?

— რაღაც კორიდორსავით არის, გრძელი ფოლადის წნულების კორიდორია, — ასეთებს მხეცებისათვის დგამენ ვოლიერებში.

— რკინის წნულის გვირაბია?

— სავსებით მართალი ბრძანდებით.

— ღმერთო ჩემო... ნუთუ ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ...

— რას იზამ, amico mio, საუბედუროდ ასეა...

— ჩვენ ზოოპარკში ვართ.

— მართალია, ჩვენ ზოოპარკში ვართ და ფოლადის გალიაში ვართ გამომწყვდეული. ავაზაკმა მახე დაგვიგო და ვირთხებივით გავგვბა.

ისე იყვნენ შეძრწუნებულნი, ხმას ვეღარ იღებდნენ.

— არა, ეს შეუძლებელია, — წამოიყვირა უეცრად ალექმა, — არა... ეს არ შეიძლება მოხდეს! — და გაალმსებული წინ გავარდა.

იმ წამსვე გაისმა მძიმე დარტყმის ხმა და კენესა.

— ხომ არ გავიცი, bambino mio, — პან ცელური გაქანდა მეგობრის საშველად და მესერთან დაგდებული იხილა, — აბა, თავით რკინის მესერს როგორ გაარღვევთ? ალექი ჩუმად ოხრავდა.

(ბაბრძალეზა შეხედა ნომერში)

ნეტა ერთი ჩემს ბოჩოლებს
სამწყესურში გამაყოლა,
მაბურთავა,
მაჭიდავა,
ლურჯა ცხენით გამაქროლა,
დაღლილი და დაქანცული
ქადრის ჩრდილში გამაგორა,
სამწყესურში რასაც ვნახავ—
სიზმარშიაც ჩამაყოლა...
დილით ადრე, უთენია,
სკოლის ზარი გამაგონა.

კაშა თუ წყევლი

6. კიხევი

ბულგარელი პოეტი

მწვანე ფერმა იფეთქა,
ქედებს ნისლი ფარავს,
ქარი ღრუბლებს მირიკავს,
მწყემსი ბიჭი—ფარას.

მეხი რიხით გავარდა,
გაიბზარა ზეტა,
თავისუფლად ნავარდი
უხარია მერცხალს.

აიმარტა წელში და
მედიდურად, მხნედ
გადმოადგა ქვეყანას
გაზაფხულის მზე.

თარგმნა მ. კაკაბაძემ



დედამიწის მოსახლეობა

1962 წლის ბირველი ივლისისათვის დედამიწაზე მოსახლეობის რიცხვი 3 120 მილიონს უდრიდა. 2 000 წელს ამ რიცხვმა 6 300 მილიონს უნდა მიაღწიოს.

მოსახლეობის სიმჭიდროვე, მატერიკების მიხედვით, ასეთია: ევროპაში ერთ კვ კი-

ლომეტრზე ცხოვრობს 83 ადამიანი, აზიაში—60, საბჭოთა კავშირში—10, ამერიკაში—9, აფრიკაში—8, ავსტრალიასა და ოკეანეთში—2; 1961 წელს დედამიწის ზურგზე დაახლოებით 119 მილიონი ადამიანი დაიბადა, გარდაიცვალა—59 მილიონი.

საბჭოთა კავშირში მოსახლეობა 1939 წელს უდრიდა 190,7 მილიონს.

1963 წლის 1 ივლისისათვის ჩვენს ქვეყანაში 225 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა.

შირაფი და ბელურა

ცხოველებს შორის ყველაზე გრძელი კისერი შირაფს აქვს (8 მეტრი). ასე მაღლა მოთავსებული თავი რომ სისხლით მოამარაგოს, ძალზე ძლიერი გულია საჭირო. ამიტომაც სწორედ, რომ შირაფს ძალზე განვითარებული გული აქვს — მისი კედლების სისქე რვა სანტიმეტრია.

ხომ მაღალი კისერი აქვს შირაფს, მაგრამ კისრის მალეობის რაოდენობით იგი ჩვეულებრივ ბელურას ჩამოუვარდება. ბელურას ორჯერ მეტი კისრის მალა აქვს, ვიდრე შირაფს.

ასი წელი დაუწოვლელად

ბუნებაში არიან ცოცხალი არსებები, რომლებსაც ეკუთვნით ფეხზე დგომის თავისებურება.

ბური რეკორდი. ასეთებს, უპირველეს ყოვლისა, მიეკუთვნება სპილო. დღემდე არავის უნახავს დაწოლილი სპილო. ამ გიგანტს დასვენების თავისებური მეთოდი აქვს გამოუმუშავებული: ან ხეს მიეყუდება, ანდა ეშვებს ჩამოდებს ტოტებზე.

ასე ფეხზე დგას სპილო მთელი ასი წლის მანძილზე.



ვისაყუმროთ მეგობრობაზე

თუ გვერდით არავინ არ გყავს ისეთი, რომელსაც შეგიძლია გაუზიარო შენი სიხარული, — სიხარულს ფასი ეკარგება; თუ ვერავის ვერ ეტყვი შენს გასაკვირს, — გაკვირვება სამკეც მძიმე გადასატანი ხდება.

ძნელია უმეგობროდ ცხოვრება.

ალბათ შეგიმჩნევიათ, — ზოგიერთ ბავშვს ბევრი მეგობარი ჰყავს, ზოგიერთი კი ძნელად თუ უახლოვდება ვინმეს.

ეს იმის ბრალია, რომ ზოგი გულელია და გულწრფელია, ყველას, თვით ახალგაჯანობილსაც კი, გადაუშლის გულს. ზოგი — გულჩახვეულია, თვით ახლო ნაცნობსაც კი ძნელად თუ გაანდობს გულისნადებს.

მე ვიცნობ ერთ ადამიანს, რომე-

ლიც თავის დღეში არავისი მეგობარი არ ყოფილა. ბავშვობაში იგი მუდმივად ვერავისთან ვერ მეგობრობდა, — ხან ერთს ეტმანებოდა, ხან — მეორეს.

ის ბიჭი ახლა ვაჟაკია, მაგრამ ახლაც ისეთივეა, ნამდვილი მეგობარი არც ახლა ჰყავს, — მხოლოდ თავის თავზე ფიქრობს, თავის თავზე ზრუნავს. საუბარი რომ დაუწყო, არ მოგისმენს, შეგაწყვეტინებს და თავის თავზე დაიწყებს ლაპარაკს, ყოველნაირად ცდილობს შეგაცოლდოს თავი.

ეცოდებათ კიდევ. მაგრამ საქმე ამით თავდება, მეგობრულ ხელს არავინ არ უწვდის.

მეგობრობაში მთავარი — ერთგულებაა.

ვინც ერთგულია, — იგი მუდამ იპოვნის მეგობარს.

მეგობარს ბევრი რამ შეიძლება აპატიო, მაგრამ უნდობლობის და ორგულობის პატიება შეუძლებელია. მეგობრობა მაშინვე თავდება, როცა იკარგება ურთიერთ ნდობა.

თუ შენ გინდა, მეგობარი იყო და მეგობარი გყავდეს, ეცადე უურადლებიანი იყო მისდამი.

ცხოვრებაში არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ძალიან ბევრს უყვარს. ჩემს დღეში არ დამავიწყდება ოცოდე წლის წინანდელი ერთი ამბავი: პიონერთა ბანაკში ახალგაზრდა ხელმძღვანელი გვყავდა, უცნაური ბიჭი იყო. ყველანი თვალეში შევციცინებდით. ყველას გვიყვარდა. ბანაკი რომ დამთავრდა, ჩვენი სკოლის ბავშვებს იგი არ დაგვიწყებია, — მივიღოდით მასთან შინ, ვლაპარაკობდით ცისას და ბარისას. თანდათან კიდევ უფრო შეგვიჩვიეთ ერთმანეთს და... ერთ დღეს მისი კარები გამოკეტილი რომ



საქართველოს მწერთა კავშირი

სპილოების სახაფლაოს საიდუმლოება

სპილოებზე მონადირენი საუკუნეთა მანძილზე ოცნებობდნენ „სპილოების სახაფლაოს“ ბოვანზე. ვერავის გაეგო, სპილოს უზარმაზარი, ხუთტონიანი სხეული სიკვდილს შემდეგ სად ქრებოდა. არა და, ბუნებრივი სიკვდილით მკვდარი სპილო კაციშვილს არ მყავდა ნახული.

ახლახან როდენიაში მომხდარი ამბავი ასე თუ ისე შუქს შვენს მკვდარი გიგანტების გაქრობის საიდუმლოებას.


...პლანტაციებს სპილოების ჯოჯი შემოესია. პლანტატორმა გადაწყვიტა, მოეკლა ჯოჯის წინამძღოლი და მოკლა კიდევ დილით უცნაური სურათი გადაეშალათ თვალწინ: მთელი ჯოჯი მკვდარ თანამომხმეს შემოსეოდა—ცდილობდნენ, ეშვებით აეწიათ და წაეღოთ უზარმაზარი სხეული, მაგრამ სპილო ძალზე დიდი იყო და ეს ვერ მოახერხეს. მაშინ მათ ეშვებით დაიწყეს მიწის თხრა, ამოთხარეს საკმაოდ ღრმა ორმო, სპილო შიგ ჩააგდეს და ზემოდან მიწა და ტოტები დააყარეს.



მაჭახელა—ძველებური გრძელ-ლულიანი თოფი. თოფის ეს სახელი ალბათ ბევრს გაუგონია, მაგრამ ყველამ როდი იცის, საიდან წარმოსდგა იგი (ამ თოფებს აკეთებდნენ სოფელ მაჭახელში, ქვემო აჭარაში, ჭოროხის ახლოს, და სწორედ ამ სოფლის გამო დაერქვა ეს სახელი).



მანჭკვალა—სოკოვანი მანჭკვალა ჰგავს კრამიტის ლურსმანს (დიდ ლურსმანს). სახელი მანჭკვალაც სწორედ ამიტომ დარქმევია. (ძველქართულად ლურსმანს მანჭკვალი ჰქვია). ამ სოკოს მზეზე ახმობენ, დაკეპილს ხარშავენ, ნივრითა და მარილით შეკაზმავენ და ჭავენ.



სამაშნავი—სამთავრავი. აყალოთი (აყალო—თიხა მიწა) დაგლეხილი ქვევრის თავზე დასაყრელი ფხვიერი მიწა, ქვიშა ან სილა.

დაგვხვდა, ელდა გვეცა—ფრონტზე წასულიყო. ისე არასოდეს არ დამწყვეტია გული... სულ იმაზე ვფიქრობდი, რაშია საქმე, რა ჯაღოსნური ძალა აქვს ამ კაცს-მეთქი. ბოლოს მივხვდი: იგი უაღრესად ყურადღებიანი იყო ყველასადმი. ამიტომ იყო, რომ გვიხაროდა რაიმე თუ გვწყინდა, ყველაფერს მას გავანდობდით ხოლმე. იგი არა მარტო ყურადღებით მოგვისმენდა, არამედ ჩვენთან ერთად ხარობდა და წუხდა. თუ საჭირო იყო, გვეხმარებოდა კიდევ. მას უყვარდა ადამიანები და ჩვენც გვიყვარდა იგი.

ალბათ შენც მოგხვლია ასე: დაგიწყებს ამხანაგი დაუსრულებლად თავის თავზე ლაპარაკს და შენ სიტყვის თქმასაც არ გაცლის. გული აღარ გითმენს, გინდა უამბო შენს შესახებ, ვეღარ ისვენებ და მისი ნაამბობისადმი შენც უყურადღებო ხდები.

თუ გინდა მეგობარი გყავდეს, მეგობრის წუხილი—შენი წუხილი უნდა იყოს, მეგობრის ტკივილი—შენი ტკივილი. აბა სცადე, ასე განეწყვე და ნახავ, რომ მეგობართან არც დავა, არც კინკლაობა აღარ გეკნება და მეგობარიც უეჭველად ამითვე გიპასუხებს—ყურადღებია-ნი, ერთგული და გულისხმიერი იქნება.

ალპინისტებს ერთი შესანიშნავი კანონი აქვთ: „თუ გიჭირს, ამხანაგს მოეხმარე და გაჭირვება შეგიმსუბუქდება“.

ბევრი თქვენგანი გვეკითხება: „როგორ ვიპოვო მეგობარიო“. ზოგიერთს ჰგონია,—საკმარისია უთხრა რომელიმე თანაკლასელს ან თანაგვოელს.—დღეიდან მეგობრები ვიყოთ და, მორჩა,—მეგობრობაც გაიბმება. ეს ცხადია; ასე არ არის. თუ ყურადღებიანი და გულისხმიერი იქნები, მეგობარი შენდა უნებლიედ გაჩნდება შენს გვერდით. აბა სცადე, მოიქეცი ასე და ნახავ, რამდენი მეგობარი გეყოლება.

მეგობრობას შენახვა, მოფერება, მოვლა უნდა. შეიძლება მეგობრისგან რაღაც გეწყინოს, მაგრამ ამან საბოლოოდ გული არ უნდა გაიტეხოს,—მოითმინე და დარწმუნდები, რომ შენ სწორად მოიქეცი—უბრალო განაწყენებას რომ აწყოლოდი, შეიძლება სულ დაგეკარგა კარგი მეგობარი.

კიდევ ერთი რამ დაიმახსოვრე: ნურავიზე ნუ იფიქრებ, თითქოს იგი არ იყოს შენი მეგობრობის ღირსი.

ზოგი ბავშვი უცებ გეცემა თვალში, აქვს რაღაც „თვალსაჩინო“ თვისებები. ბევრი ცდილობს ასეთ ადამიანს დაუმეგობრდეს. მაგრამ ხშირად სწორეთ ასეთი, მიმზიდველი, ერთი შეხედვით „მეგობრული“ ადამიანი არ გამოგადგება ხოლმე მეგობრად.

დაფიქრდით, ბავშვებო, და მოგვეწერეთ თქვენი აზრი მეგობარზე, იმ სიხარულსა თუ გულისტკივილზე, რომელიც მეგობრობაში შეგმთხვევიათ.

ქაქაჩა ხელოები

ანჟორ აბულაშვილი

მზემ აანთო ისევ
კორდიცა და სერიც,
მთა—წასული ცისკენ,
მთა—ლაქვარდისფერი.

როცა გვათბობს სხვა დრო,
როცა ჩადგა ქარი,—
ცხრაას ორმოცდაორს
გავიხსენებ წამით,—
იმ უმძიმეს დღეებს,
ჩამოწრილის ნისლად,
იმ პატარა ხელებს,
ხელებს ბავშვებისას...

იმა დღეთა ღელვას,
იმედებს თუ იჭვებს,
კუშტ სახეთა მზერას,—
იმ მრისხანე ბიჭებს;

მათ მოვთხოვეთ, რასაც
გმირებისგან ვითხოვეთ...
ეს იმ მძიმე დღეთა
წიგნის ფურცლებს ვკითხოთ.

ვკითხოთ იმა დღეთა
იმედებს თუ იჭვებს,
კუშტ სახეთა მზერას,
იმ შუბლშეკრულ ბიჭებს,
ვკითხოთ მათი შრომის
ოფლით მორწყულ დღეებს,
მათ დამუშტულ ხელებს,
მათ დაკოფრილ ხელებს...

და დღეს, როცა ვიდაც
იმუქრება ომით,
ვისაც უნდა ცისკენ
კვლავ ავარდეს ბოლი,
ვისაც ომი უნდა,
ვისაც დარი არ სურს,—
ის ივიწყებს ბავშვებს,
ის ივიწყებს წარსულს!

აბასთუმანი — განთქმული კურორტია. ძველად მას ერქვა **ოხრახე** (ოძრახე) ანუ **ოცხე** (აქედანაა გვარი **ოცხელი**).

ძველი ოცხის ანუ ახლანდელი აბასთუმნისაგან სულ ერთი კილომეტრის დაშორებით იყო სოფელი **აბასთუმანი**. აი, ამ სახელისაგან მივიღეთ **აბასთუმანი**, რაც თითქოს იმას გამოხატავს, რომ აბაზად ღირებული რამ კურორტზე თუმნად იყიდებო. სინამდვილეში კი ესაა **აბასთ-უმანი**, ე. ი. აბასების უბანი (აბასი სახელია, საიდანაც მიღებულია გვარები: **აბასაშვილი**, **აბასაძე**, **აბესაძე**, **აბაზაძე**).

ვარციხე — სოფელია ქუთაისის ახლოს. ამჟამად იქ ცხოვრობი საბჭოთა მეურნეობაა. ამ სოფელში დგას ძველისძველი ციხე. ცხადია, სოფლის სახელიც ამ ციხისაგან მოდის. მაგრამ მისი პირველი ნაწილია არა ზმნა ვარ, როგორც დღეს გვიჩვენება („მე ვარ ციხე“). არამედ იგი მიღებულია ვარდისაგან, ე. ი. **ვარციხე** ნიშნავს „ვარდ-ციხეს“. ეს რომ ასეა, იქიდან ჩანს, რომ ძველი ბერძნები ვარციხეს



გუნების „უსამართლობა“

გოჭებს სრული უფლება აქვთ თავიანთი „ბედის“ უკმაყოფილონი იყვნენ. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ბუნებას დავიწყნია დედალორის რძის გამდიდრება საჭირო ვიტამინებით. ამ ვიტამინების ნაკლებობას, ხშირად, ავადმყოფობამდე მიჰყავს გოჭები. ბუნების ამ „უსამართლობის“



გამოსწორების მიზნით იყენებენ ხელოვნურ რძეს, რომელშიც შედის საჭირო ვიტამინების რაოდენობა.

აღსანიშნავია, რომ ძროხის რძე ბევრად უფრო „გონივრულად“ არის შედგენილი. მაგრამ ბუნებამ აქაც ვერ გაითვალისწინა ზოგი რამ. მასში ბევრია კალციუმის მარილები, ამიტომ ძროხის რძეს თოთო ბავშვის ორგანიზმში ძნელად ითვისებს. მეცნიერებამ აქაც თქვა თავისი სიტყვა: სპეციალური ნივთიერების — „იონიტების“ საშუალებით რძეს აკლიან კალციუმის მარილებს.

რძე და მზე

გინახავთ ღია ფერის ბოთლებში ჩასხმული ლუდი? ცხადია, არა, — ვინაიდან ღია ფერის მინა ლუდს სინათლის



უწოდებდნენ როდო-პოლისს, რაც ბერძნულად ვარდის ცხენს ნიშნავს (როდოს—ვარდი, პოლის—ციხე). მაშასადამე, ბერძნულ ტად უთარგმნიათ ეს სახელწოდება.


ცხენისწყალი — დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი დიდი მდინარის სახელია. ეს მდინარე სათავეს იღებს სვანეთის მთებში, გამოივლის ქვემო სვანეთსა და ლეჩხუმს და მდ. რიონს ერთვის იმერეთისა და სამეგრელოს საზღვარზე.

არსებობს ლეგენდა, თითქოს ამ მდინარემ ცხენები დაუხრჩო შემოსეულ მტრის ლაშქარს, რაც მათი დამარცხების მიზეზი გახდა. ამბობენ, მდინარეს ცხენისწყალი სწორედ ამიტომ დაერქვა. სინამდვილეში კი ამ მდინარის სათავეებთან—სვანეთში მდებარეობს სოფელი ცანა ანუ ცენა. სწორედ აქედან უნდა დარქმეოდა მდინარეს ცხენის წყალი (ისევე, როგორც აქარისწყალი, ბახვისწყალი, გუბისწყალი და სხვ.), აქედან კი, ხელახალი გააზრიანების გზით, მივიღეთ სახელწოდება ცხენისწყალი.

მოქმედებისაგან ვერ იცავს.

გინახავთ მუქი ფერის ბოთლებში ჩასხმული რძე? ცხადია, არა—არა და, მუქი ბოთლები, თურმე რძეს უფრო ჭირდება, ვიდრე ლუდს.

მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ მზის სხივების გავლენით რძე უცებ კარგავს B და C ვიტამინებს.



უფრო მეტიც, ამ ელემენტებს თურმე უბრალო სინათლეც კი ლუპავს.

აისბერგების შემოხვევა

ასეთივე ჰაერი იყო დედამიწაზე მილიონობით წლის წინ, როგორც ახლა? ამ კითხვაზე მხოლოდ იმ დროის მომსწრეებს თუ შეეძ-

ლებოდათ პასუხის გაცემა და, წარმოიდგინეთ, იპოვნეს კიდევ იმ დროის მომსწრენი—ჩვეულებრივი აისბერგები.

აისბერგებში სამი პროცენტი ჰაერია, ეს ჰაერი აისბერგის დნობისას ატმოსფეროს ერევა. მეცნიერებმა შეისწავლეს ის ჰაერი, რომელიც აისბერგებმა მილიონი წლის წინათ ჩაიხვიეს თავის ყინულოვან გულში და აღმოჩნდა, რომ მასში ჟანგბადი შედარებით ცოტაა, ვიდრე დღევანდელ ჰაერში. ეს გასაგებია. ჟანგბადს მცენარეები გამოჰყოფენ, იმ დროს კი, როდესაც ეს აისბერგები გაჩნდნენ, დედამიწაზე მცენარეული საფარი ნაკლები იყო.

მსნაური თაყუი

ყველაზე უცნაური თევზი — გველთევზაა.



იგი ბალტიის ზღვის აუზის მდინარეებში ცხოვრობს. ქვირითის დასაყრელად, ჩრდილოეთის ზღვისა და ატლანტიკის ოკეანის გავლით, შორეულ სარაგასის ზღვამდე მიდის, იქ ქვირითს ყრის და... კვდება.

... ახალგამოჩეკილი ლიფსიტები სამი წელი უნდებიან იმ მდინარეებამდე მისვლას, სადაც თავიანთი მშობლები ცხოვრობდნენ. ოცი წლის შემდეგ ისტორია კვლავ მეორდება.

რაშია საქმე, რა აიძულებს გველთევზას გადალახოს უზარმაზარი სივრცე? ამაზე მეცნიერებას ჯერ-ჯერობით ზუსტი პასუხი არ გაუცია.

აჰჰაჰაჰა და... სიკვდილი

იშვიათად თუ მოიძებნება დედამიწაზე ისეთი ხე, რომელსაც იმდენნაირი გამოყენება ჰქონდეს, რამდენიც აქვს ბამბუკს. იგი მეტად ძვირფასი მცენარეა. თავისი სიცოცხლის მანძილზე (იგი ხშირად 120 წლამდე ცოცხლობს) ბამბუკი ერთხელ ჰყვავის და აყვავების შემდეგ ილუპება.

ბამბუკის ტყეების დალუპვას ასე ებრძვიან: აყვავების წინ, ძირზე ბელავენ დიდსა და პატარა მცენარეს, ნაკუწნაკუწად ჭრიან ფესვებს, ამის შემდეგ ბამბუკი კვლავ ამოიყრის ხოლმე.



ემანუელ ტოკელია

ეს მოხდა 1961 წლის აგვისტოში; ნორვეგიის თევზჭერი გემი „სოლვეიგი“ ჩრდილო ატლანტიკიდან ბრუნდებოდა. გამოჩნდა სკანდინავიის კლდოვანი ნაპირები. ნაცნობი ადგილები რომ დაინახეს, გახარებული მეზღვაურები გემბანზე გამოეფინენ. „შეხედეთ, შეხედეთ!“ — წამოიძახა უცრად ერთმა მათგანმა.

...ნაპირისკენ მიმავალ გემს წინ შემოეყარა ლემინგების მთელი ჯარი. ბევრი მათგანი წყლის ჩაყლაპვისთანავე იძირებოდა, ხოლო უფრო „გულადნი“ თავგანწირვით ებრძოდნენ ტალღებს და წინ მიიწვიდნენ. ამდენი ლემინგი ერთად — „სოლვეიგზე“ მყოფ მეზღვაურთაგან არც ერთს არ ენახა. ზღვა თითქმის არ ჩანდა. „სოლვეიგი“ ორი საათის განმავლობაში

მიიკაფავდა გზას ლემინგებს შორის.

ლემინგების მეტად უცნაური ჩვეულება — მიგრაცია (გადასახლება) დიდი ხანია ცნობილია მეცნიერებისათვის. ამ ჩია ტანის, სასაცილოდ შედინდლულ მხეცუნებს ზოგჯერ რაღაც ჟინი მოუვლით, სკანდინავიის მთებიდან ათეულ ათასობით ლემინგი ერთად დაეშვება ზღვისკენ და მძინვარე ტალღებში პოულობს „სამუდამო განსასვენებელს“.

რატომ იქცევიან ლემინგები ასე? ახსნა სხვადასხვაგვარია; ზოგი მეცნიერი ამტკიცებს, რომ ლემინგები ინსტიქტურად ილტვიან თავიანთი ძველი სამშობლოსაკენ, რომელიც სადღაც, თითქოსდა ოდესღაც ჩაძირული ატლანტიდის ალაგას მდებარეობს.

ლემინგების უცნაური

ლტოლვის საკითხით დაინტერესდა შვედი ზოოლოგი ლინდალი; შეისწავლა რა ლემინგების გადასახლებასთან დაკავშირებული ფაქტები, ლინდალმა სარწმუნო მოსაზრება წამოაყენა.

ლინდალი ამტკიცებდა, რომ ლემინგების გადასახლების მთავარი მიზეზია მათი ერთობ სწრაფი გამრავლება.

ამ მღრღნელების თითო წყვილი ყოველ წელიწადს 13-15 „სულს“ ჰმკატებს თავის „საუარულოს“.



ბევრია? — არ არის ბევრი, — ამ 13-15-დან, მკაცრი ბუნებრივი პირობების გამო, უმრავლესობა იღუ-

პება. ასეა თუ ისე, ლემინგების „ოჯახი“ კატასტროფულად იზრდება. მღრნელთა ურიცხვი ლაშქრისათვის სკანდინავიის კლდოვან მთებში საკმარისი საკვები არ მოიპოვება და, აი, — ლემინგები იწყებენ „ლაშქრობას“ საკვების საძებრად. საქმე კარგად მიდის, ვიდრე ისინი მდინარის, ტბის ან ზღვის ნაპირს არ მიაღებიათ. აქ იწყება ტრაგედია! მეწინავე ლემინგებს წყალი შეაკრთობთ და შედგებიან, მაგრამ მომდევნო რიგები ენერგიულად წააწვებიან ხოლმე „ლაჩარ“ ლემინგებს და, საბოლოოდ, ყველანი წყალში აღმოჩნდებიან. შემინებული ლემინგები ერთმანეთს უშლიან ხელს, ცურვა ჭირს, უკან დასახვევი გზა კი აღარაა. ლემინგი „ფიქრობს“: მოდი, ზღვაში ღრმად შევცურავ, იქნებ თავს ვუშველო. ერთს მეორე მიჰყვება, მეორეს — მესამე, მეასეს — მეათასე და... ათასობით ლემინგი ზღვის ფსკერისკენ მიეჭანება.


ასე ტრაგიკულად მთავრდება ლემინგების ლტოლვა „აღტყმული ქვეყნისაკენ“.

გარეკანის პირველ გვერდზე — „პალატაბურთილანი“, ნახატი ვაჟა მელიქიშვილისა

რედაქტორი მუხრან მაჭავაცარიანი
სარედაქციო კოლეგია: ფილიპე ბერიძე, როსტომ ვლანიძე, იაგო ვარლამიანი, კვიციანიანი, ჯუანხეი კვაკაცხელია, სერგო კლდიაშვილი, ზურაბ ლეჟაველი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, ბაიოჯ ფოცხიშვილი (სამხატვრო რედ.), გიორგი შატაბაძე ვილი.

<p>ჩვენი მისამართი: თბილისი, პლუბანოვის 91 ტელეფონები: რედაქტორის—5-17-76 საერთო—5-07-43</p>	<p>„ПИОНЕРИ“, На грузинском языке. Адрес редакции: Тбилиси, пр. Плевнино-а, 91. გამომცემლობა „ნაკადული“. უფ. 04399 ტირ. 33.500. პირ. ფორ. რაოდ. 41/3, ფიზ. ფორ. რაოდ. 2. ხელმოწერ. დასაბ. 17/VI-64 წ. სტამბის შეჯ. 1470. გამომც. შეჯ. 230. საქ. კვ ცვ-ის გამომცემლობის სტამბა № 1 რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.</p>	<p>ფახი 20 კაპიკი</p>
--	--	-------------------------------

2 თქვეს სხევი



დააკვირდით ამ ნახატს; თქვენ ბედავთ მარჯვენა ხელის ხ. ჩვენებელ თითსა და ცერს შორის ერთიმეორეზე შემდგარ ორკაპიანსა და სამკაპიანს.
სცადეთ, იქნებ თქვენც მოახერხოთ ეს.

3. გვიზიანი,
კლოუნი-ილუზიონისტი.

პასუხი „პიონერის“ № 5-ში მოთავსებული „თავუხსაქხევისა“

„სიკვდილმისჯილი“

სიკვდილმისჯილმა როცა ყუთიდან ერთი ფურცელი ამოიღო, სწრაფად დაჭმუჭნა და გადაყლაპა. სასა

მართლოს ისღა დარჩა, რომ ემსჯე-
ლა ყუთში დარჩენილი ქაღალდის მიხედვით. ყუთში კი — „სიკვდილი“

იყო დარჩენილი. სასამართლომ „დაადგინა“: სიკვდილმისჯილს „სი-
კოცხლე“ გადაუყლაპიაო და გაან-
თავისუფლა.




სარეცხი ბევრად უფრო მალე შრება, თუ მას ასეთ, გაორმაგებულ ბაწარზე გააფენ.



საგოწავი ყოველთვის იფარგებს სახმარად თუ მას პლასტიკის პარკში შეინახავ. იგი ადვილად აიზილება და ხელებსაც არ გაითხუპნი.

ყვავილების მიწისქვეშიდან მორწყვას თავისი უპირატესობა აქვს — მიწის ზედაპირი არ ხმება და ჰაერი იოლად აღწევს ფესვებამდე; აბა, სცადეთ: ყვავილები ქოთნების ნაცვლად ასეთ ყუთებში მოათავსეთ და ნახავ, როგორ გაიხარებენ.



სახიფათოა კედელზე მიუუდებულ კიბეზე ასვლა, როცა იატაკი გაკრიალებულია და სრიალებს. კარგია, თუ ამ დროს ვინმე გაუვს დამხმარე და კიბეს დაგიმაგრებს. მაგრამ დამხმარე საჭირო აღარ იქნება, თუ კიბის ბოლოებს თხილამურების დაკბილულ რეზინს შემოაქედებთ ისე, როგორც ეს ნახატზეა ნაჩვენები.

ხომ არ დაგავიწყდა, როგორ იხარშება ხის წებო? პატარა ნატეხებად დამტვრეული წებო უნდა ჩაიყაროს წყალში. ერთი დღე-ღამის განმავლობაში იგი ფაფისებური გახდება. შემდეგ ეს წებოიანი ქილა უნდა ჩაიდგას მეორე წყლიან ქილაში და თანდათან გათბეს. წყალი შეიძლება აღუდღეს, მაგრამ წებო არ უნდა აღუდღეს. გამზადებული წებო უწყვეტ ნაკადად ჩამოიწურება ფუნჯიდან.

ხის მაგარი ჭიშებისათვის მზადდება შედარებით თხელი წებო. ხოლო რბილი ჭიშებისათვის, — უფრო სქელი. იმისათვის, რომ წებო არ დაობდეს ღიდი ხნის შენახვით, მასში უმატებენ მშრალი წებოს წონის 8-10% ბორმუყავს.



0001/25



სქობი ბუმბოქვი

ილია ლომიანი

